წელიწადი მესამე ფასი 10 კ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 30 ოქტომბერი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 41

ჟურნალის შინაარსი

რატომ დავბრუნდი სამშობლოში?—**ირაკლი ურუშაძე**; რა სურს ემიგრაციას—**ლეო შენგელაია**; ერთი პოლემიკის გამო—**ალ. ხელაძე**; საპარლამენტო არჩევნების მოლოდინში—**ს. ელიაძე**; პოლიტიკური მიმოხილვა—**კ. ჭეიშვილი**; თვალს ერთი გადავლებით—**პროლეტარი**; „ბრძოლის“ რედაქციას—**ყარიბი**; ორი სამკუთხედი და ჩინეთი—**ი. ნარსია**; ცრუმარქსისტები—**ნ. ჯუღელი**; ყოფ. ახ. მარქსისტთა განცხადება.

## რატომ დავბრუნდი სამშობლოში?

ამგვარი კითხვის დასმა არ არის შემთხვევითი ხასიათის, არც ჩემი პირადი განწყობილების შედეგი: ის წარმოშობილია თავით ჩვენი სინამდვილის მიერ.

მართლაც, ჯერ კიდევ საკმაოდ შევხვდებით უცხოეთში ქართველებს, რომლებიც ასეთ კითხვას აძლევენ იმათ, ვინც სამშობლოში დაბრუნებას აპირებს, და მოიპოვებიან ჩვენშიაც ქართველები, რომლებიც ამავე კითხვით მიმართავენ ხოლმე უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნებულთ.

ცხადია, ასეთ კითხვას პოლიტიკური სარჩული უდევს, ის გამოწვეულია ქართველ ემიგრანტების და მათ თანამგრძნობთა მტრული დამოკიდებულებით საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

მაშასადამე, კითხვა:—რათ დაბრუნდი შენ საქართველოში,—ნიშნავს პოლიტიკურ ენაზე: როგორ შეურიგდი შენ საბჭოთა ხელისუფლებას, რატომ დასდექი საბჭოთა პლატფორმაზე? —ჩვენ სხვაგვარათ ვერ წარმოგვიდგენია ქართველი ემიგრანტის ლეგალურის გზით უკან დაბრუნება.

არ არის ადვილი, მხოლოდ რამოდენიმე თვით სამშობლოში ყოფნის შემდეგ სავსებით დაახასიათო საბჭოთა კავშირის და კერძოთ საბჭოთა საქართველოს დღევანდელი ვითარება, როცა შვიდ წელზე მეტი სამშობლოზე მოწყვეტილს, მხოლოდ შორიდან გქონდა საშუალება აქ მომხდარ პოლიტიკურ თუ ეკონომიურ მოვლენებისათვის თვალყური მედევნებია. და ეს მით უფრო, როდესაც ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ორგანიზაცია იმდენათ გაფართოვდა და გაიზარდა, რომ მის შესასწავლად საკმაო დრო და საშუალება საჭირო. მაგრამ ის, რაც მე ამ 6 თვის განმავლობაში აქ ყოფნის დროს გავიცანი და ვნახე, მაძლევს უკვე საკმარის საბუთს გადაჭრით ვსთქვა, რომ ჩვენ, ვინც საბჭოთა პლატფორმაზე დავდექით, არ შევმცდარვართ, რომ ჩვენ მართალნი ვყოფილვართ.

აქვე მინდა ერთ რამეში გამოვტყდე: როცა ბერლინს ვტოვებდი ერთი ფიქრი ყველაზე მეტად მაწუხებდა: შევძლებდი თუ არა ამდენი ხნით ევროპაში ყოფნის შემდეგ შევთვისებოდი ჩვენს საბჭოთა ქვეყანას, ჩვენს ჩამორჩენილ მხარეს.

ჩემდა სასიხარულოთ ეს ეჭვები არ გამართლდა: ნახევარი წელზე მეტია, რაც საქართველოში ვიმყოფები, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ევროპა არ მომნატრებია: აქ გიტაცებს ახალი იდეების და საქმიანობის ნაკადი, ახალი ცხოვრების მშენებლობა, შენი ქვეყნის ავკარგი და შენც ნაკლებათ ჰფიქრობ ევროპაზე.

მაგრამ არის ერთი გარემოება, რაც მწარე ფიქრებს ბადებს, რაც არ სცილდება გონებას: ეს არის დღეს უცხოეთში გახიზნულ ქართველთა ბედი, განსაკუთრებით იმ მუშების და მოსწავლე ახალგაზრდობის, რომელთაც თავის უახლოეს მიზნათ თავის ქვეყნის მშრომელთა ინტერესების სამსახური ჰქონდათ დასახული, რომლებთან ერთად ამ მიზნის მისაღწევად მრავალი გაჭირვება გადაგვიტანია და რომელთაც დღეს სამშობლოში უკან დაბრუნება ვერ გადაუწყვეტიათ.

რას ჰფიქრობს დღეს ეს ხალხი? საითკენ არის მათი გულისყური მიმართული? ჩვენ ვართ შემცდარნი, ვინც სამშობლოს მოვაშურეთ, თუ ისინი სცდებიან, ვინც უცხოეთში ყოფნას განაგრძობენ?

საჭიროთ მიმაჩნია მოვიგონო ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი: ეს არის ის, რომ კერძოთ ევროპაში მყოფი ქართველი სტუდენტობა იმთავითვე არ ყოფილა ემიგრანტულათ განწყობილი, მიუხედავად საქართველოში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებისა, ყველას გადაწყვეტილი ჰქონდა სწავლის დამთავრების შემდეგ მალე სამშობლოში დაბრუნება, მას შემდეგაც კი, როცა სტუდენტობაში განხეთქილება მოხდა და საბჭოთა პლატფორმის სტუდენტების ორგანიზაცია ცალკე დაარსდა.

1923 წელს, ივლისში, ბავარიაში შესდგა სტუდენტობის საერთაშორისო კონფერენცია, სადაც მეც ვღებულობდი მონაწილეობას, როგორც უცხოეთში მყოფ ქართველ სტუდენტების (საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე მდგომ) წარმომადგენელი. აქ, სხვათა შორის, დასმული იყო საკითხი ემიგრანტ-სტუდენტების სამშობლოში დაბრუნების შესახებ. რუსი სტუდენტების

წარმომადგენლის მიერ გაკეთებულ იქნა კატეგორიული განცხადება, რომ ისინი არ ფიქრობენ სამშობლოში დაბრუნებას, სანამ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლება არსებობსო, ვინაიდან იქ ადამიანის ელემენტარული უფლებები ფეხქვეშ გათელილიაო და სხვ.

მე განვაცხადე, რომ ქართველ სტუდენტობას ასეთი პოზიცია შემცდარათ მიაჩნია, და მას გადაწყვეტილი აქვს სამშობლოში დაბრუნება და იქ ხალხის საკეთილდღეოთ მუშაობა და თავის ცოდნის გამოყენება- მეთქი.

ამ განცხადებას შეუერთდა უკრაინელი სტუდენტების დელეგაციაც.

ასეთი იყო ქართველ სტუდენტების პოზიცია ამ კითხვაში.

რა შეიცვალა ამის შემდეგ?

ქართველ ემიგრაციის დაინტერესებულმა ელემენტებმა შეეცადენ ამ პოზიციის შესუსტბას პარტიული თუ სხვა ორგანიზაციების თავის მიზნებისათვის მოხერხებულად გამოყენებით; აწარმოეს ისეთი მუშაობა, რომ გული აეცრუებიათ სტუდენტობისთვის სამშობლოში დაბრუნებაზე, აუკრძალეს მათ პასპორტის გამოცვლა საბჭოთა წარმომადგენლობაში და სხვ. ამით რამდენათმე მიზანსაც მიაღწიეს და ახალგაზრდობის ნაწილი ემიგრაციის სახიფათო გზაზე დააყენეს.

და ყოველივე ეს ხდებოდა მაშინ, როცა სტუდენტობა საშინელ გაჭირვებას განიცდიდა, მშიერ-მწყურვალი ყოველდღე სამუშაოს დაეძებდა; ცივს ბარაკებში ბინას ძლივს შოულობდა და სნეულდებოდა. პასუხისმგებელი „ამხანაგები“ კი ამავე დროს გვიმტკიცებდენ, რომ სტუდენტობას იმდენი ძალა უნდა შესწევდეს რომ მსხვერპლი გაიღოს და სამშობლოში დაბრუნების სურვილმა არ გაიტაცონო; მან უნდა იბრძოლოს სხვა მოქალაქეებთან ერთად ბოლშევიკების წინაალმდეგო. მაგრამ განა მსხვერპლის გაღება იყო ის, რომ თვით იგივე პასუხისმგებელი „ამხანაგები“ თბილ ადგილებზე იყვნენ მოწყობილნი. ანდა, აბა მითხარით, რა მსხვერპლის გაღებაა ბერლინის ან პარიზის ქუჩებში უსაქმოდ ხეტიალი, თუნდაც რესტორანებში სამსახური? თუ ის იქნებოდა საუკეთესო მსხვერპლის გაღება და წმინდა მოვალეობის შესრულება, ცოდნით და სწავლით შეიარაღებული მალე სამშობლოში დაბრუნდენ, მშრომელ ხალხს გვერდით ამოუდგენ და მისი ჭირი და ლხინი გაიზიარონ?

მაგრამ მალე, განსაკუთრებით აგვისტოს აჯანყების შემდეგ, თვით ის ამხანაგები, რომლებიც მსხვერპლს მოითხოვდენ, დარწმუნდენ თავიანთ შეცდომაში და ზოგიერთი მათგანი დღეს ჩვენ, სამშობლოში დაგვიანებით დაბრუნებულთ—სტუმრათ მოსულებს უკვე როგორც მასპინძლები გვხდებიან. მაგრამ ნუ თუ ისინი, ვინც ამ უკანასკნელთ თავის დროზე ბრძოლას უცხადებდენ, დღემდის ვერ დარწმუნდნენ თავიანთი „მსხვერპლის“ უსარგებლობაში და უმიზნობაში!

„მსხვერპლის“ გაღების საჭიროებაზე ლაპარაკის დროს ყოველ შემთხვევაში ერთი მთავარი საბუთთაგანი იყო ბოლშევიკების წინაალმდეგ ბრძოლის აუცილებლობა. რატომ? იმიტომ, რომ ბოლშევიკები კი არ აშენებენ, არამედ ანგრევენ, უსპობენ ქართველ ხალხს დამოუკიდებელ არსებობას და ეროვნულ განვითარების საშუალებასო.

რა თქმა უნდა, პირველ ხანებში საძნელო იყო იმაზედ ლაპარაკი, რომ ბოლშევიკები დადებით მუშაობას აწარმოებენ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამისთვის საჭირო ფაქტები და ინფორმაციაც არ იყო. მაგრამ დროს განმავლობაში აქაც სიმართლე თანდათან იკაფავდა გზას. 1923 წელში ბერლინის კოლონიის სოც.-დემ. ფრაქციის ერთ-ერთ კრებაზე მე შემლება მქონდა აღმენიშნა ჩემს მოხსენებაში („საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა და ქართველი ემიგრაცია“), რომ ასეთი „საბუთი“, თითქოს ბოლშევიკები არაფერს აკეთებენ, მომავალში საბუთად აღარ გამოგვადგება, ვინაიდან ფაქტები წინაალმდეგ ლაპარაკობენ - მეთქი.

ეხლა მე პირადად დავრწმუნდი ნათქვამის სიმართლეში, და ნახულმა ჩემს მოლოდინს გადააჭარბა: საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში უწარმოებია დიდი აღმშენებლობითი მუშაობა. ეს არის ფაქტი, რომელსაც ვერ უარყოფს ვერავინ, ვინც ობიექტიურად ამ მუშაობის დაფასებას მიუდგება.

ნუ თუ საჭიროა დღეს კიდევ ბოლშევიკების დამანგრეველ მუშაობის ლეგენდაზე ლაპარაკი? ვინ არის დღეს ჭკუათმყოფელი ადამიანი, რომ ასეთ ზღაპარს დაუჯეროს? რასაკვირველია, ის, ვინც ფანატიზმით და ბოლშევიკებისადმი მტრობა-სიძულვილით ისე დაბრმავებულია, რომ არ უნდა დაინახოს ის რაც კეთდება და რაც გაკეთებულია, იმას ჩვენ ვერ დავარწმუნებთ, და ისეთი ადამიანების დარწმუნება, რომლებთაც ყოველი ცნობა საქართველოში ახალი ქარხნის გახსნის ან სხვა რაიმე წამოწყების აგების შესახებ ნაცვლად სიხარულისა, გაბოროტების და შურის გრძნობით ავსებს, არც არის საჭირო.

მაგრამ იქნებ ყველაფერი ეს, რაც დღეს კეთდება ფუჭია, რადგანაც ხვალ თუ ზეგ, როგორც ამას მენშევიკების „თეორია“ ამბობს, ბოლშევიზმი უეჭველად დაინგრევა; ბოლშევიზმი განწირულია, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურადო.

უდავოა, რომ ეკონომიური კანონების წინაალმდეგ ძალა ვერ გაჭრის. ვინც ამ კანონებს ვერ გაიგებს და ვერ შეისწავლის და მხოლოდ თავის ნება-სურვილებს დაემყარება, ის ადრე თუ გვიან დამარცხდება. ეკონომიურ პრობლემების სწორად გადაწყვეტაზეა დამოკიდებული სახელმწიფოს წინსვლა, ხშირად მისი არსებობაც. ამ მხრით დიდი სიძნელეები იყო აღმართული საბჭოთა კავშირის წინაშე, რადგანაც აქ ახალი სოციალისტურ აღმშენებლობას ეყრება საფუძველი, ახალი ეკონომიური ამოცანები იბადებიან, ახალი ორგანიზაციათა და აპარატების შექმნა ხდება საჭირო.

თუ გავითვალისწინებთ ამ სიძნელეებს და აგრეთვე სხვა მრავალ დაბრკოლებებს, შინ და გარეთ, რომლებიც ხელს უშლიდენ აღმშენებლობითი მუშაობის წარმოებას, მაშინ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ეკონომიურ ფრონტზედაც დიდი გამარჯვება მოეპოვებია. არ არის საჭირო დაიფაროს. რომ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი არსებობს, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორის ენერგიით სწარმოებს ბრძოლა ამ ნაკლთა აღმოსაფხვრელად. დღევანდელი მდგომარეობა კი, — საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენაში ათი წლის განმავლობაში უდიდესი მიღწევები, საბჭოთა ეკონომიკის შესამჩნევად გაზრდა,—ეს არის უტყუარი ფაქტი, რაც ნათლად მოწმობს იმას, რომ მომავალშიაც. ეკონომიურ ხაზზეც საბჭოთა კავშირის გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ახლა რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს; ჩვენ უნდა დავსვათ კითხვა: შეფერხდა თუ არა გასაბჭოების შემდეგ, საქართველოს ეროვნულ კულტურის და ეკონომიკის. განვითარება თუ უფრო წინ მიიწევს? ჩვენთვის ხომ მთავარია, გამოვარკვიოთ, თუ დღეს არსებითად რა მდგომარეობა შეიქნა. ჩვენ ვიცით, რომ დღეს არა სახელმწიფოებრივ ფორმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, არამედ მის შინაარსს. ამის მაგალითები საკმაოა. მაშასადამე გადამწყვეტი ის არის, რომ საქართველოს მშრომელ ხალხს საშუალება მიეცეს თავის მუშაობით და უნარიანობით ისეთ კულტურულ და ეკონიმიურ განვითარების დონეზე აიყვანოს თავისი ქვეყნის განვითარება, რომ ის ფაქტიურად დამოუკიდებელი გახადოს.

და ჩვენ მოწამე ვართ იმისი, რომ სწორედ ასეთი გზით მიდის დღეს საქართველოს განვითარება, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება ძალ-ღონეს და ენერგიას არ იშურებს იმისთვის, რათა ასეთ განვითარებას ხელი შეუწყოს, და ეს არის საუკეთესო საწინდარი ჩვენი ქვეყნის აღორძინებისთვის. ამას ემატება კიდევ ერთი უდიდესი სოციალური ფაქტორი: სახელ-

დობრ ის, რომ საქართველოს მშრომელი მასა ამ აღმშენებლობით მუშაობაში მარტო თავის ჯერ კიდევ სუსტი ძალების ანაბარა კი არ არის მიტოვებული, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა დახმარებით და მათთან სოლიდარობით აკეთებს ამ დიად სოციალისტურ მშენებლობის საქმეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლის ლოზუნგს კიდევ ჰქონდა ერთგვარი გასავალი ემიგრაციაში, როცა ჯერ კიდევ იმედები დამყარებული იყო უცხო სახელმწიფოთა დახმარებაზე. უნდა ითქვას, რომ ამ ილიუზიით შეპყრობილნი ბევრნი იყვნენ თვით ევროპაშიც კი, სადაც ცოტათ თუ ბევრათ დაკვირვებულ ადამიანისთვის იმ თავითვე აშკარა იყო, რომ ევროპის სახელმწიფოები საქართველოს გულისთვის თავს არ აიტკივებდენ. და თუ მაკდონალდის ყოვლად შემძლებლის საქართველოს „განთავისუფლების“ საქმეში უცხოეთში ბევრს სჯეროდა, რაღა გასაკვირია, რომ აქ ხალხმა ეს ამბავი დაიჯერა და აგვისტოს საშინელი ავანტიურის მსხვერპლი გახდა. მაგრამ დღეს კი ჩვენ არ გვგონია, რომ უცხოეთში მყოფნი, სალათ მოაზროვნე, ქართველი მუშები და მოსწავლე ახალგაზრდები, საქართველოს „ხსნას“ ინგლისის ან საფრანგეთის იმპერიალისტებისაგან მოელოდენ, რომელთა შავი ზრახვები საყოველთაოდ ცნობილია.

საქართველოს ბედი სწყდება არა პარიზში, ან ლონდონში, არამედ თვით საქართველოში. თვით ქართველი მშრომელი, დაუღალავი ენერგიით დღეს სჭედავს თავისივე ხელით თავის აწმყოსა და მომავალს. და ამ საერთო საქმეში თავისი წვლილის შეტანა — ეს არის მოვალეობა ყველა პატიოსანი მოქალაქის, განსაკუთრებით კი იმ მოსწავლე ახალგაზრდობის, რომელიც ცოდნას იძენს უცხოეთში.

— აი ამიტომ მოვისწრაფოდი მეც სხვებთან ერთად სამშობლოსაკენ, და სასტიკათ სცდებიან ის ქართველი ემიგრანტები, მუშები და სტუდენტები, რომლებიც ყოვლად უმიზნოდ და უსარგებლოდ კიდევ უცხოეთში ყოფნას განაგრძობენ.

ირაკლი ურუშაძე.

# რა სურს ემიგრაციას

5.

## ერთა ლიგა.

ემიგრაციას აქვს კიდევ ერთი ბადე, რომლითაც მან უნდა დაიჭიროს დემოკრატიული საქართველო, ეს ბადე გახლავთ ერთა ლიგა. საბჭოთა ხელისუფლება დღეს თუ ხვალ ამ ბადეში მოემწყვდევა, მის წინაშე არის ასეთი დილემა, ან ძველი გზით სიარული და, მაშასადამე, აუცილებელი დაღუპვა, ან გაევროპიელება, ესე იგი სიარული იმ გზით, რა გზითაც ევროპა მიდის. ეს არის დემოკრატიისა და შემთანხმებლობის გზა. საბჭოთა ხელისუფლება დიდხანს ინავარდებს აზიაში, აქეთ ეცემა, იქით ეცემა, მაგრამ გამოსავალს ვერ იპოვის და ბოლოს პირს ისევ ევროპისაკენ იბრუნებს. ის მიადგება ევროპის იმპერიალისტების სინედრიონს— ერთა ლიგას და მის კარებზე მაგრად დააკაკუნებს. აქ საბჭოთა კავშირს დახვდებიან დემოკრატიული საქართველოს ახალი სასიძოები ჩემბერლენი, ბრიანი, მუსოლინი, და სხვ. და საბჭოთა ხელისუფლებას კატეგორიულად მოსთხოვენ: აბა, ჩამობრძანდი დემოკრატიული საქართველო, თუ არა და თქვენთვის სინედრიონის კარები სამუდამოთ დახურული იქნებაო. საბჭოთა ხელისუფლებას აბა რა ჯანი ექნება, საქართველოსთვის ქვეყანას ხომ არ გადაიკიდებს და ისიც იძულებული იქნება საქართველოდან აიბარგოსო.

ამნაირად, რამიშვილის „მეორედ მოსვლა“ უზრუნველჰყოფილია.

დაწვრილებით იმის წარმოდგენა, თუ რა კონკრეტულ სახეს მიიღებს მკვდრეთით ამდგარი მენშევიზმი ძნელია, თუმცა ნაციონალ-დემოკრატები ახლავე სწერენ: მენშევიკები მომავალში ქვეყანას ბალშევიკებზე უარეს დღეს დააყენებსო (იხ. „თეთრი გიორგი“). ეს არის ასე ვსთქვათ საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი ლიკვიდაციის პერსპექტივა. ასე რომ, საბჭოთა ხალისუფლების ჯვარედინ გზაზე აწერია „წახვალ ინანებ, არ წახვალ ინანებო“, მაგრამ ვილაპარაკოთ თვით ემიგრაცია.

საბჭოთა კავშირის წინაშე, სწერს ნ. რამიშვილი, იბადება ორნაირი შესაძლებლობა.

**„პირველი შესაძლებლობა:** საბჭოთა რუსეთი დაემორჩილება ლოკარნოს პრინციპს, შევა ხალხთა ლიგაში და დაადგება საყოველთაო განიარაღების გზას. ეს იქნება ევოლიუციური ნახტომი, რაც უნდა დამთავრდეს დემოკრატიული რეჟიმის აღდგენით და კომუნისტთა ბატონობის თვით ბალშევიკების ხელით განადგურებით.

**მეორე შესაძლებლობა:** რუსეთი გაყვება წინეთ არჩეულ გზას და უარყოფს ლოკარნოს ხელშეკრულებით გაკვალულ საგარეო პოლიტიკის გზას. ამით ის საბოლოოდ ჩამოშორდება ევროპა - ამერიკის დემოკრატიას.

როგორც ხედავთ ბოლშევიზმის წინაშე ზღაპრული დილემა დაისვა: „შემოხვალ ინანებ, არ შემოხვალ და მაინც ინანებო (იხ. „ბრძოლა“ № 6).

ერთა ლიგა თანდათან გაძლიერდება და ბოლოს **„საგარეო პოლიტიკის უზენაეს ბატონ-პატრონი გახდება“** (იქვე).

თურმე ნუ იტყვით, ერთა ლიგა სოციალიზმის საერთაშორისო პოლიტიკის ამომავალი მზე ყოფილა. „სოციალიზმის ძველი პრინციპი არბიტრაჟი დღეს ერთად-ერთი საერთაშორისო პოლიტიკაა შესაძლებელი და მჭრელი. კაცობრიობა იძულებული შეიქნა მიეღო ეს პრინციპი და მის საფუძველზე აეგო ნაციათა ლიგა. (იხ. ნ. ჟორდანიას წერილი „მიმდინარე პოლიტიკა“, „ბრძოლა“ № 2).

ერთა ლიგის ძალისა და მნიშვნელობის იურიდიულ დასაბუთებას იძლევა ბ. გ. გვაზავა, იგი სწერს: „დაარსდა ჟენევის ცნობილი დაწესებულება—„ერთა ლიგა“ — და უპირატესობა უფლებისა აშკარად იკაფავს გზას. ბევრი სკეპტიკურად უყურებს ამ დაწესებულებას, ბევრი დასცინის და არ ზოგავს სარკაზმებს მის მიმართ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება—ერთა ლიგა მუშაობს და აწესრიგებს საერთაშორისო ცხოვრებას. მისი მუშაობა ათასნაირია. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მისგან გადაწყვეტილი საკითხები:

ალანდის კუნძულებისა, ზემო-სილეზიის, ავსტრიის. ბულგარეთ - საბერძნეთის, იტალია-საბერძნეთის და სხვანი. განსაკუთრებით იტალია-საბერძნეთის შეხლა არის მაჩვენებელი. თუ ერთა ლიგამ შეაჩერა ისეთი დიდი სახელმწიფო, როგორიც არის იტალია და ისეთი უდრეკი პიროვნება, როგორიც არის მუსოლინი, თუ იმათ მიაღებინა თავისი გადაწყვეტილება და დაიმორჩილა, აშკარაა, ამ „ერთა ლიგას“ ჰქონია დიდი ძალა და დიდი ზეგავლენა. თუ იტალიამ და მისმა დიქტატორმა თავი მოიხარა ლიგის გადაწყვეტილების წინაშე, ეჭვი არ არის იგი ბევრ უხეშ ძალას მოდრეკს კიდევ და აღადგენს შელახულ უფლებასაც“ (იხ. „დამოუკიდებელი საქართველო“ № 1).

როგორც ხედავთ, ერთა ლიგა სოციალისტური პრინციპის მატარებელი ყოფილა, მას მოუგვარებია უდიდესი საერთაშორისო საკითხები, მოუდრეკია უძლიერესი სახელმწიფონი, ბურჟუაზიას თვითონ გაულესია თავის დასაკლავი დანა.

ბალშევიკები, რა თქმა უნდა, იძულებული იქნებიან „მიიღონ ლიგის სტატუტი, ესე იგი დემოკრატია საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედათ აღიარონ და თავის მოქმედე-

ბის ანგარიში ქვეყანას აძლიონ. საქართველოს საკითხი თავიდანვე წინ დახვდება და არბიტრაჟი მისთვის სავალდებულო გახდებაო“ (იხ. „ბრძოლა“ № 2).

მთელს ამ მსჯელობაში ერთა ლიგა წარმოდგენილია სამართლიანობის განყენებულ პრინციპებზე აგებულ ზეკლასიურ და ზესახელმწიფოებრივ დაწესებულებათ, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია იმპერიალისტურ სახელმწიფოების პოლიტიკისაგან და დამოუკიდებლადვე სწყვეტს საერთაშორისო უფლებისა და პოლიტიკის საკითხებს, რაც, რა თქმა უნდა, სრულებით სინამდვილეს არ შეეფერება.

**არც ერთი სამკვდრო სასიცოცხლო საკითხი ერთა ლიგას სამართლიანად არ გადაუწყვეტია და ვერც გადასწყვეტს,** ის მხოლოდ ადასტურებს იმას, რასაც მოითხოვენ მისი უძლიერესი წევრები. უკეთეს შემთხვევაში ერთა ლიგამ შეიპლება დამოუკიდებლად გადასწყვიტოს რაიმე ფლინტიფლიუშკები, უმნიშვნელო საკითხები, რომლებიც დიდი სახელმწიფოების არსებით ინტერესებს არ ეწინააღმდეგება.

ემიგრაცია განყენებულად მსჯელობს. მართლაც რატომ არ შეიძლება არსებობდეს ისეთი დაწესებულება, რომ საერთოაშორისო მედიატორის როლი იკისროს, სხვადასხვა საერთაშორისო სადავო საკითხები. სამართლიანად და მშვიდობიანად გადასწყვიტოს და ამით ომის საშინელებანი კაცობრიობას თავიდან მოაშოროს?! თუ კერძო ცხოვრებაში ჩვენ შეგვიძლია სამედიატორო სასამართლოს მივმართოთ, რატომ არ შეიძლება ასეთივე სამედიატორო სასამართლო არსებობდეს საერთაშორისო მასშტაბით!? დიახ, **ფანტაზიაში ყველაფრის არსებობა შეიძლება,** მაგრამ რეალურ კაპიტალისტურ სინამდვილეში ასეთი დაწესებულება არ ყოფილა და, არც იქნება.

არსებით და მნიშვნელოვან საკითხებში დიდი და კბილებამდე შეიარაღებული სახელმწიფო სხვის დადგენილებას არ დაემორჩილება, ყოველი ასეთი სახელმწიფო შედის რომელიმე კოალიციაში, სახელმწიფოთა რომელიმე ჯგუფში და ცხადია, ის იმოქმედებს ამ კოალიციასთან შეთანხმებით.

რომ ერთა ლიგა შესდგებოდეს მენშევიკებისაგან, მაშინ კიდევ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ის საქართველოს ისევ მენშევიკებს დაუბრუნებს, მაგრამ ეს ასე, მგონი, არ უნდა იყოს. მაშ, რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ის საქართველოსთვის თავს გამოიდებს?! არავითარი! მაშინაც კი, როცა **საქართველოს სათავეში დემოკრატიული მთავრობა იდგა, ლიგამ თავის წევრად საქართველო არ მიიღო.** გასაბჭოების შემდეგ საქართველოს საკითხი იდგა ლიგაში, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა და არც გამოვა. **ლიგის „იდეალურ“ მიმდევრებს სურთ ლიგამ ომის საშიშროება კაცობრიობას ააშოროს და იმავე დროს ისეთი საკითხები გადასწყვიტოს, რომლებიც უომრად არ გადაწყდება! ამაშია ერთა ლიგის ზოგიერთ გულუბრყვილი მომხრეების მთელი ტრაღედია და გარდაუვალი წინააღმდეგობა.**

პოლონეთის აღდგენაში და გაძლიერებაში უაღრესად დაინტერესებულია საფრანგეთი, ვინაიდან მას სჭირდება რუსეთისა და გერმანიას შორის ძლიერი ბუფერი, ბელგიის აღდგენაში უაღრესად დაინტერესებული იყო იგივე საფრანგეთი, რადგანაც ბელგია არის ბუფერი საფრანგეთსა და გერმანიას შორის. ევროპის დიდი სახელმწიფოების მხრით საქართველოს საკითხში ასეთი დაინტერესება არ არის. **ემიგრაციას სურს, რომ ასეთი დაინტერესება იყოს, მაგრამ ეს კიდევ** არ ნიშნავს, რომ იგი რეალურად არსებობს, რაც უკვე დაამტკიცა ლოიდ-ჯორჯმა თავისი პოლიტიკით.

როცა ამბობენ: ერთა ლიგა დამოუკიდებელ საქართველოს აღადგენსო—ეს ნიშნავს რომ ერთა ლიგაში შემავალი დიდი სახელმწიფოები იმდენად არიან დაინტერესებული დემოკრატიული საქართველოს აღდგენით, რომ ისინი ერთა ლიგას გამოატანინებენ ამის შესახებ დადგენილებას და შემდეგ თუ ის საბჭოთა ხელისუფლებამ არ შეასრულა, იარაღით მოახდენენ მის რეალიზაციას.

დგას კი ასე რეალურად საკითხი?! რა თქმა უნდა, არა. თვით „დამოუკიდებელი საქართველო“ აცხადებს: ჩვენ კარგათ ვიცით, რომ **საქართველოსთვის რუსეთს ომს არავინ გამოუცხადებსო** (იხ. „დამ. საქმე“ № 1).

ამავე დროს იმავე გაზეთმა მეორე საიდუმლოებაც იცის. მან იცის, რომ საბჭოთა ხელისუფლება ნებით საქართველოს არავის დაუთმობს. ახლა მიბრძანეთ, თუ საქართველოსთვის საბჭოთა ხელისუფლებას ომს არავინ გამოუცხადებს, ხოლო უომრად საბჭოთა ხელისუფლება საქართველოს არავის დაუთმობს— რა შუაშია აქ ერთა ლიგა, რისი მაქნისია იგი, რა უნდა გააკეთოს მან და, რაც უმთავრესია, შეუძლია თუ არა დემოკრატიულ საქართველოს მომხრეს დაამყაროს მასზე თავისი იმედი?! რა თქმა უნდა, არა, ვინაიდან, როგორც თვით ემიგრაციის ორგანო აღიარებს, ერთა ლიგას **„გამარჯვებულმა დიდმა სახელმწიფოებმა ისეთი სახე მისცეს, რომ მას ვერ შესძლებოდა მათი ნების გადალახვა“.** რომ ლიგა წარმოადგენს იმპერიალისტური სახელმწიფოების **„მოხელეთა კრებულს“** (იხ. „დამოუკიდებელი საქართველო“ № 4).

წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო— სწორედ ამაზეა ზედგამოჭრილი!..

ლეო შენგელაია.

# ერთი პოლემიკის გამო

2

მოქ. რუბენი ამხ. ქ. ჯანელიძისადმი გამოგზავნილ წერილში ამბობს: **ვაი თუ ჟორდანია-რამიშვილის სადირექტივო წერილებმა, საქართველოში სამსახური გაუწიოს ბოლშევიკებს და ჩვენი ამხანაგები კომუნისტების რიგებში ბლომათ შერეკოსო.**“. (იხილე „ახალი გზა“ № 38, ქ. ჯანელიძის ) წერილი: „პასუხი რუბენს“.) ასეთი სადირექტივო წერილები, რომ სამსახურს უწევს ყოფილი მენშევიკური მასების გამორკვევას, ამ მასსების სწორ გზაზე დადგომას,— ეს აშკარაა, ეს აზრი ჩვენ კიდეც გამოვსთქვით, წინა წერილში („ახალი გზა“ № 40). ჩვენ იქ ვამბობდით, რომ ემიგრანტების „ნაკაზები“ და სადირექტივო წერილები, სადაც ისინი მოუწოდებენ ერს აჯანყებისაკენ საბჭოთა ხელისუფლების საგარეო თუ საშინაო მდგომარეობის გართულების დროს, რომლითაც ავალებენ არალეგალურ ორგანიზაციებს თანამგრძნობების აღრიცხვაზე აყვანას ფარულად, ე. ი. თვითონ აღრიცხულებმა არაფერი იცოდენ ამის შესახებ და სხვა ასეთი „მარგლიტები“, რასაკვიველია, უდიდეს პროვოკაციათ უნდა ჩაითვალოს და ჩვენს სინამდვილეში მას ასეც ღებულობენ. მაგრამ ამ პროვოკაციებს მოაქვს ერთი დადებითი შედეგი. ეს გახლავთ ის, რომ ყოფილი მენშევიკური მასები ერკვევიან რა ამ სადირექტივო წერილების შინაარსში და მათ ლოლიკურ დასკვნებში, ადვილათ და დაჩქარებულის ტემპით ახერხებენ, ძველი იდეური ბაგაჟის მოცილებას და მისი რევოლიუციის მუზეიმისათვის გადაცემას; ადვილად ახერხებენ რეფორმისტული პოლიტიკური ფილოსოფიის გადაფასებას და რევოლიუციონური მარქსისტულ-ლენინური თეორიის და პრაქტიკის შეთვისებას და შესისხლხორცებას. ამ საკითხზე ისე ბევრი დაიწერა, რომ აღარ არის საჭირო მისი კიდევ ვრცლად გაშუქება და მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ სულ სხვა გარემოებაზე.

როგორც ვიცით, რუბენი და სხვა მის გვერდში მყოფი ამხ. ეკუთვნიან ე. წ. ირაკლი წერეთლის ოპოზიციას. ირ. წერეთელმა და მისმა „ოპოზიციონურმა“

ჯგუფმა, აურზაური ასტეხა ერთ დროს 1924 წ. აგვისტოს გამოსვლების ირგვლივ. ეს გამოსვლები და საზღვარგარეთელი ბიუროს მოღვაწეობა ამ საქმეში მათ, წერეთლის ოპოზიციამ ნ. რამიშვილის უზურპატორობად და ავანტიურად გამოაცხადეს. პარიზის ერთ-ერთ საჯარო ს.-დემოკრატიული ორგანიზაციის კრებაზე ირაკლი წერეთელმა ნ. რამიშვილთან კამათიც არ მოისურვა (აგვისტოს ავანტიურის შემდეგ) და აშკარათ განაცხადა: „ნ. რამიშვილი და მეფის ოფიცერი ჩოლოყაშვილი ერთი ტიპის ხალხია, ერთი ტიპის მოღვაწენი და მე მათთან არასდროს არ მქონია კავშირი და არც შემდეგში მექნებაო. მე თუ აქ—პარიზის ს-დ. პარტიაში ვკამათობ და კრიტიკულათ ვაფასებ საზღვარგარეთელი ბიუროს მუშაობას, არა იმიტომ, რომ რაიმე გავაგებინო და დაუმტკიცო ნ. რამიშვილს, რაც წყლის ნაყვა იქნებოდა, არამედ იმიტომ; რომ აქ ნ. ჟორდანიას ვხედავ და მის საყურადღებოთ კიდევ ღირს ასეთი განცხადებების გაკეთება, რომელმაც მეტი ყურადღებით უნდა მოეპყრას ჩვენს ასეთ ამხანაგურ და საქმიან შენიშვნებს“-ო.

მართალია, ნ. ჟორდანიაც არ იყო კეთილათ განწყობილი ირაკლი წერეთელთან და მის „ოპოზიციურ“ ჯგუფთან. წერეთლის ხელით დაწერილ რეზოლიუციებს ნ. ჟორდანია ასე ახასიათებდა: „ეს რეზოლიუციები, რომელსაც ი. წერეთელი ადგენს აქ, ფრაქციაში, რუსის ხელით დაწერილია, რადგან ქართველი ვიცით ასეთ რეზოლიუციებს ვერ წარმოადგენდაო“... აქ საყურადღებოა ის, რომ ნ. ჟორდანიას ეჭვი შეაქვს ირაკლი წერეთლის ქართველობაში, მის მამულიშვილობაში და პატრიოტობაში მხოლოდ იმიტომ, რომ ი. წერეთელი, იცავს საქართველოს სოც.-დემ. ორგანიზაციულ კავშირს და მთლიანობას რუსეთის სოც-დემ. მთლიანი ანტი-კომუნისტური ფრონტის შესადგენად.

როდესაც ნ. ჟორდანიამ ასეთი კურიოზული ბრალდება წაუყენა ი. წერეთელს, ამ უკანასკნელმა თავის მართლება მხოლოდ იმ ფორმით მოახერხა, რომ გ. წერეთელის შვილი არასდროს არ იქნება საეჭვო ქართველიო, და სხვ.

ასეთი ბრალდება და თავის მართლება ორ ქართველ მენშევიკ ლიდერების შორის ფრიად დამახასიათებელია ყოველ მხრივ. პირველყოვლისა, აქ დავაა და თავის მართლება იმაზე, თუ ვინ არის უკეთესი ქართველი უფრო მტკიცე პატრიოტი. ჟორდანია თუ წერეთელი? უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი საკითხები დიდი პოლემიკის საგანია ემიგრაციაში, ასეთ დავას და აზრთა შეჯახებას იქ ცენტრალური ადგილი უკავია. როგორც ხედავთ ისინი ძალიან ცოტას ფიქრობენ რევოლიუციის და სოციალიზმის გამარჯვებაზე, თუ ვინ უფრო სწორად შეაფასებს სოციალურ მოვლენებს, ვინ უფრო შეუმცდარ დიაგნოზს დააყენებს რევოლიუციონური და სოციალისტური მოძრაობის გამორკვევის საკითხებში. ამ საქმეზე ისინი სრულიად არ ზრუნავენ, ქართველები ეჯიბრებიან ერთი მეორეს და ლამის არის, გვარტომობის ქექვა დაიწყონ ბიოლოგიური და რასიული კვლევა-ძიება მოახდინოს; ნ. ჟორდანიამ ნ. რამიშვილის კარნახით, რათა დაამტკიცოს ი. წერეთელის არაქართველობა.

საყურადღებო აქ ის არის, რომ ქართული მენშევიზმის ეს ძველი ლიდერები ოდესღაც პრეტენზიას აცხადებდენ სოციალიზმის და რევოლიუციის ხელმძღვანელობაზე და არც ასე ბევრს მუშაობდენ თავიანთი ბიოლოგიურ და რასიულ კვლევა-ძიებაზე.

მაგრამ ეს იყო მაშინ, როცა ისინი ოფიციალურად არ უარყოფდენ მუშათა კლასის და ინტერნაციონალური დროშის დაცვას. ეხლა კი როდესაც სრულიათ აღარ გააჩნიათ მათ მარქსისტული აზროვნება და შოვინისტური ნაციონალიზმის ქადაგით არიან შეპყრობილნი, რა თქმა უნდა, თემებიც ასეთი უნდა მონახონ საკამათოთ და შეჯიბრიც ნაციონალისტობაზე უნდა მოახდინონ. ეს ახასიათებს სპირდონ კედიას, ალ. ასათიანს, რეზო გაბაშვილს, დ. ვაჩნაძეს და ქ. შოლოყაშვილს და სხვ., რომლებიც ასე თავგამოდებით ედავებიან ერთმანეთს პარიზის ქუჩებზე ქართველი ერის მეტ სიყვარულში და თავგანწირვაში დონკი ხოტ ლამანჩელის გმირებივით.

ამნაირად ეს ყოფილი სოციალისტები და რევოლიუციონერები,ჩაფლული არიან ყალბი პატრიოტიზმის ქაობში და რეზო გაბაშვილის „პატრიოტიული“ ფილოსოფიით იკვებებიან.

მაგრამ დავსვათ აქ წერტილი და გავიხსენოთ ის ხმაურობა, რომელიც ასტეხა წერეთლის ოპოზიციამ პოზიციის წინაამდეგ, 1924 წლის ავანტიურის შემდეგ. ეს უბადრუკი ოპოზიციონერები მაშინ ორომტრიალში იყვენ, ქვას ქვაზე ადუღებდენ, რომ ნ. რამიშვილმა ს.-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის უფლების უზურპაციით პროვოკაცია მოუწყო ქართველ ერს, სისხლიდან დასცალა იგი და სხვა ასეთები.

ნ. რამიშვილი ყოველივე ამას ისმენდა და უთუოდ, თავის გულში ამბობდა:—დე, იყბედოს ოპოზიციამ, რა მნიშვნელობა აქვს მაგათ ჩხავილს, დაჰკრავს საათი და მე მაშინაც მზათ ვიქნები ასეთივე აჯანყების მოსახდენად. საამისო ამალა ყოველთვის მეყოლებაო...

ასეთმა საათმა ნ. რამიშვილისათვის უკვე დაჰკრა, ყოველ შემთხვევაში ყოველ 24 საათში მოელის ის ასეთი სანატრელი წამის მოახლოვებას და ამიტომ მუდამ მზადებაშია, რომ ხელსაყრელი მომენტი არ გაუშვას ხელიდან.

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის გამწვავებამ, დიდი პერსპექტივები გადაუშალა მას და ვ. ქარცივაძე, დიდი ნოეს ლოცვა-კურთხევით, სასწრაფოდ მოავლინა საქართველოში. მას სათანადო „გრამოტაც“ თან გამოატანეს, რომელშიდაც გარკვევით არის ნათქვამი: ემზადეთ აჯანყებისათვის; ომისთვის პირობები უკვე მომწიფებულიაო.

ამ სადირექტივო „ნაკაზს“ საბედნიეროდ მისამართები ეშლება და პოლიტიკურ სამმართველოში მიდის. პოლიტიკურ სამმართველოდან ის უცვლელათ, საბჭოთა პრესაში იბეჭდება და მთელი საზოგადოება ეცნობა, ამ უბადრუკი ხალხის დაავადმყოფებული ჭკუის ნაცოდვილარს. ამ დოკუმენტებში, დიდი და პატარა ნოების შემოქმედებითი გენია ერთობ დიდის ენერგიით მოსჩანს.

მათი საპროვაკაციო სადირექტივო წერილები საქართველოში, სამართლიან ზიზღს და აღშფოთებას იწვევს საბჭოთა საზოგადოებრივობის ყველა წრეებში. მათმა წერილებმა ააღელვა მ[illegible]ლი მასები, ამოძრავდა ინტელიგენციაც და ნიკო ნიკოლაძის მეთაურობით, სპეციალურად ამ საკითხისათვის მოწვეულ კრებაზე, სადაც წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა ყოფილი პოლიტიკური მიმართულებანი, ამცნეს ყველა მტერ-მოყვარეთ, რომ ისინი სდგანან საბჭოთა პლატფორმაზე, იღებენ მონაწილეობას ერის მატერიალურ და კულტურის განვითარებაში და საბჭოთა ხელისუფლების დაცვაში. აქ ემიგრაციის „მოღვაწეობა“ და საქართველოს „გასანთავისუფლებლათ“ წარმოებული ბრძოლა მათ გამოაცხადეს ისტორიულად შემცდარად, პოლიტიკურად სრულიად მოუღებლად, ეროვნულად ერის ფიზიკურად გამანადგურებლად, ეკონომიურად საზარალოდ და მოუწოდეს მათ წესრიგისაკენ.

ნ. ნიკოლაძის ინიციატივით მოწვეული ქართველი ინტელიგენციის ხმა მხოლოდ ნიმუშად მოვიყვანე, თორემ საქართველოში არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, ჩვენი საზოგადოების არც ერთი ჯგუფი, რომ თავის აღშფოთება და ზიზღი არ მიეზლოთ რამიშვილი ჟორდანიასთვის მათი პროვოკაციული და ბოროტი საქმანობისათვის.

როგორც ვიცით, 1924 წ. აგვისტო მოამზადა და შექმნა ქართველი ემიგრაციის ლიდერების ურა პოლიტიკამ, მასებმაც სწორედ აგვისტოს ავანტიურაში დაინახეს, რომ ემიგრაციის ლიდერები ამცდარი იყვენ არა მარტო სოციალისტურ, არამედ საღ რეალურ აზროვნებას და მასსიურად მიატოვეს მენშევიკური პარტია. ამ თვალსაზ-

რისით აგვისტოს გამოსვლებმა უსათუოდ დააჩქარა ქართველი მუშების და გლეხობის პოლიტიკური გამორკვევის პროცესი და მენშევიკური არალეგალური ორგანიზაციების დაშლა და ლიკვიდაცია. საქართველოს სოციალ-დემ. პარტიის ყოფილი წევრები, რომლებიც ასე გაბედულად წამოვიდენ ხელისუფლებასთან სათანამშრომლოდ, თანდათან უფრო მტიკეცდ დგებიან ამ პოზიციაზე. მაგრამ ჩვენთვის საყურადღებოა, თუ როგორ დასრულდა ემიგრაციის ერთი ჯგუფის პოლიტიკური რყევა, ირაკლი წერეთელის ოპოზიციის ბრძოლა, რომლის ერთ-ერთ აქტიურ წევრს წარმოადგენდა კ. ჯანელიძის მოკამათე მოქ. რუბენიც? ის ერთ სიტყვასაც არ ტყვის ამ საპოლე-
მოქ. რუბენიც? ის ერთ სიტყვასაც არ სძრავს ამ საპოლე-
ბაა ერთხელ კიდევ გაიმეოროს აგვისტოს ტრაღედია.

რისთვის ამ ღირსშესანიშნავ ფაქტს ემიგრანტი ოპოზიციონერები—წერეთელი — ერაძე — ყიფიანი და სხვები უყურადღებოდ სტოვებენ და ჩუმად უვლიან გვერდს?! თუ ისინი წინააღმდეგი არიან ავანტიურის კვლავ განმეორების, ვალდებული არიან, რომ საჯაროდ სთქვან ეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი სიჩუმე შეიძლება იქნას გაგებული სოლიდარობის გამოცხადებათ — რამშვილების პოლიტიკის მიმართ და მაშინ მათ უნდა იკისრონ პასუხისმგებლობაც მიღებულ შედეგებზე. საზოგადოება გარკვეული უნდა იქნას — თუ სად თავდება რამიშვილი და სად იწყება წერეთელი, მოქ. რუბენი გამოლმა გვედავება ის, როგორც ერთგული წევრი მენშევიზმისა ცდილობს მის დახსნას და ჩვენ გვიყენებს კითხვას: თუ ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვლი არ ვარგან, სოციალ-დემოკრატიული პარტია, რა შუაშიაო. ამაზე ჩვენ მას მივეცით პასუხი. ხოლო ეხლა გვინდა გავახსენოთ ერთი ახლო დროის ამბავი. კ. ანჯაფარიძემ, პროცესის დროს, ხარკოვში კატეგორიულად განაცხადა, რომ ის აჯანყების წინააღმდეგია და სასამართლოს შენიშვნაზე, რომ ქართული მენშევიზმის ლიდერები და სზაღვარგარეთის ცეკა მოძხრეა როგორც ინტერვენციის, ისე აჯანყებისო, მან (ანჯაფარიძემ) უპასუხა: მე მათ არ ვეთანხმები და ვიზიარებ სეით დევდარიანის შეხედულებასო.

კ. ანჯაფარიძე, რომელიც საზღვრაგარეთიდან წამოვიდა სწორედ იმავე ნოების დირექტივებით, პირველ შემთხვევისთანავე იმიჯნება, მათი პოლიტიკისაგან, და „მოღალატე“ სეითის პლატფორმაზე სდგება. რუბენი კი ვერ ბედავს ნოე ჟორდანია რამიშვილისაგან ასეთ მანძილზე დაცილებასაც. მას ნოე ჟორდანიას და რამიშვილის გეზი არ მოსწონს მაშინ, როცა ეს „ახალგზელ“ მუშას კ. ჯანელიძეს ეკამათება, მაგრამ ნოე რამიშვილთან ერთად, ერთ ორგანიზაციაში ძლიერ კარგად გრძნობს თავს და მათ სადერექტივო წერილზე, რომელმაც ისეთი ერთსულოვანი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია ქართველი საზოგადოების ყველა წრეებში. არაფერს ამბობს, პირიქით, ჩვენ გვიკითხავს ნატაციებს.

მაგრამ, უსუსურია მისი ნატაცია, უსაფუძვლოა მენშევიზმის გადარჩენის მისი რეცეპტები. რუბენს და მის ამხანაგებს მხოლოდ ერთი გამოსავალი აქვთ ნ. რამიშვილის პოლიტიკის პასუხისმგებლობისაგან თავის დასაღწევად — მოვიდენ ჩვენთან, მიიღონ მონაწილეობა სამშობლოს ეკონომიურ - კულტურულ აღორძინების საქმეში, თუ მათ სურთ დარჩენ სოციალისტები და რევოლიუციონერები, თუ მათ სურთ მადლიერი ყავდეთ ქართველი ერი და საქართველოს მუშათა კლასი.

**ალ. ხელაძე.**

# საპარლამენტო არჩევნების მოლოდინში

მუშათა კლასის იმ ნაწილისათვის, რომელიც კომუნისტური პარტიების დროშის ქვეშ არიან დარაზმულნი, დიდი ხანია აშკარაა, რომ ბურჟუაზიული პარლამენტები წარმოადგენენ იმ ფუძეს, რომლის საშუალებით გაბატონებული კლასები ადვილად ახერხებენ თავიანთი ბატონობის გახანგრძლივებას. მართალია, გაბატონებულ კლასებს შორისაც არსებობს ინტერესთა წინააღმდეგობანი, მაგრამ ერთ რამეში ისინი ყოველთვის შეთანხმებული გამოდიან. ეს გახლავთ კაპიტალისტური წესწყობილების დაცვა.

მსოფლიო ომის შემდეგ ბურჟუაზიული წყობილების დამცველის როლში გამოდის აგრეთვე საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაც, რაც საგრძნობლად უადვილებს ბურჟუაზიას თავისი ბტონობის შენარჩუნებას. მიუხედავად ამისა, საპრლამენტო არჩევნების მოახლოვების დროს ყველა პარტიები ასტეხენ ხმაურს და მემარცხენეობის ფრაზეოლოგიით ცდილობენ ამომრჩეველთა თავიანთ მხარეზე გადაბირებას. ისტორიამ ბევრი იცის იმის მაგალითები, როდესაც წვრილბურჟუაზიული, რადიკალური პარტიები არჩევნებში გამოდიან ფრიად მემარცხენე პროგრამით, მაგრამ თუ მათ გამარჯვება ხვდა და ხელისუფლებას სათავეში მოექცენ, უმალვე ავიწყდებათ გაცემული თამასუქების განაღდების საჭიროება და თავიანთ პროგრამებს არქივებში ინახავენ მანამ, სანამ ხელახალი არჩევნები მოახლოვდებოდეს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ საპარლამენტო არჩევნებში რაოდენ სიყალბესა, თაღლითობასა და მოსყიდვას აქვს ადგილი. ხშირია შემთხვევა, როდესაც რომელიმე კაპიტალისტი ასიათასობით ხარჯავენ შეუგნებელი ამომრჩევლების მოსასყიდათ, რომ ამ უკანასკნელებმა ხმა მისცენ მის კანდიდატურას. ამას კი ბურჟუაზიულ ენაზე ეწოდება საყოველთაო, ფარული არჩევნები.

ამ წერილის მიზანს შეადგენს იმ საარჩევნო ციებცხელების აღნუსხვა, რომელიც სწარმოებს ინგლისსა და საფრანგეთში მოახლოვებული საპარლამენტო არჩევნების გამო.

ვის არ ახსოვს, თუ ინგლისის კონსერვატორებმა როგორ ადვილად მოახერხეს მუშათა პარტიის დამარცხება წარსულ არჩევნებში ზინოვიევის ყალბი წერილის საშუალებით 1924 წელში. მას შემდეგ კონსერვატიული მთავრობა განუსაზღვრელად ბატონობს ინგილსში, რამაც საგრძნობი ზიანი მიაყენა არა მარტო მუშათა კლასის საარსებო ინტერესებს, არამედ საშუალო და წვრილ ბურჟუაზიასაც. ამის გამო ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერებს იმედი აქვთ, რომ მომავალ არჩევნებში წილად ხვდებათ გამარჯვება და ხელისუფლების სათავეში ჩადგებიან.

ჯერ-ჯერობით ძნელია იმის გათვალისწინება თუ რამდენათ მიაღწევს მიზანს ინგლისის მუშათა პარტია, მაგრამ მისი ლიდერები, კი აქედანვე შეუდგენ ამისათვის მზადებას. სამზადისი კი იმაში გამოიხატება, რომ მუშათა პარტიის ლიდერები ცდილობენ წვრილი ბურჟუაზიის თავის მხარეზე გადმობირებას. თუმცა ამ პარტიის პროგრამა და ტაქტიკა არასოდეს არ ყოფილა რევოლიუციონური და სოციალისტური, მაგრამ ბლექპულში გამართულ უკანასკნელ ყრილობაზე ეს პარტია მთლად გაშიშვლდა. მან უკვე აშკარად გამოაჩინა თავისი ბურჟუაზიული სახე, როდესაც მისი ლიდერის პირით სოციალიზმი მეორე ხარისხოვან საკითხათ გამოაცხადა. ამ პარტის ლიდერებს ამით სურთ ერთის მხრივ მიიმხრონ ამომრჩევლების მეშჩანური ნაწილი, ხოლო მეორეს მხრივ ბლოკით შეეკრან ლიბერალურ პარტიას, ურომლისოდ საეჭვოა რომ თავიანთ მიზანს მიაღწიონ.

ამას ზედ ერთვის აგრეთვე ტრედუნიონების კონგრესის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება წარმოებაში მშვიდობიანობის დამყარების შესახებ, რაც საბოლოო ანგარიშით ნიშნავს, როგორც კლასთა ბრძოლის შეწყვეტას, ისე გაფიცვების გამოცხადების აკრძალვასაც, რაც ბურჟუაზიულ სამყაროში დღემდის ერთად-ერთი საშუალება იყო მუშათა კლასის ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად. ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯი პირველად გადასდგა ლონდონის ქალაქის მოურავმა, რომელმაც ამ დღეებში თვითმართველობის შენობაში მოიწვია დაინტერესებულ პირთა თათბირი. დეპეშის გადმოცე-

მით ამ სხდომას წერილით მიმართეს გენერალური საბჭოს ახლად არჩეულმა თავმჯდომარემ ბენ ტერნერმა და ინგლისის მუშათა პარტიის მდივანმა გენდერსონმა, რომელშიაც დაწვრილებით გამოსთქვეს თავიანთი შეხედულება წარმოებაში „მშვიდობიანობის“ დამყარების შესახებ. ხოლო სნოუდენმა, მაკდონალდმა, ტომასმა და კრემპმა ხსდომას გაუგზავნეს დეპეშები, რითაც მწუხარებას გამოსთქვამენ, რომ არ შეუძლიათ პირადათ დაესწრონ ხსენებულ თათბირს.

აქედან აშკარაა, თუ როგორის სერიოზულობით ეპყრობიან მუშათა პარტიისა და პროფკავშირების ბიუროკრატი ბელადები კლასთა თანამშრომლობის საკითხს. ესეც ერთგვარი მანევრია არჩევნების წინ იმისათვის, რომ ოღონდ ამ ლიდერებმა სამინისტრო სავარძლებში წამოსკუპდენ და ბურჟუაზიის ბატონობას არავითარი საფრთხე არ მოელის.

ამ რიგად ინგლისში ხდება რაღაც არაჩვეულებრივი სპარლამენტო არჩევნების ისტორიაში. ოპოზიციონური პარტია, ნაცვლად იმისა, რომ გამოვიდეს მემარცხენეობის ფრაზეოლოგიით ამომრჩევლების თვალის ასახვევად, თანდათანობით იხრება მარჯვნივ. ამას კი ინგლისის პირობებში ერთგვარი გასამართლებელი საბუთიც აქვს. საქმე იმაშია, რომ ინგლისში ჯერ კიდევ არ არსებობს ძლიერი, მასიური კომუნისტური პარტია, რომელსაც შეეძლება კონკურენციის გაწევა არჩევნების მიმდინარეობისათვის. ეს კი ხელფეხს უხსნის მაკდონალდის პარტიას თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინოს. თუ საპარლამენტო არჩევნებში მუშათა პარტიას ერგო გამარჯვება, ამით არავითარ არსებით ცვლილებებს ინგლისის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში არ უნდა მოველოდეთ. აქ ბრძოლა იწარმოებს მხოლოდ პორტფელისათვის, მაგრამ მუშათა პარტიის გამარჯვებას მაინც შეუძლია ერთგვარი ნაყოფი მოუტანოს ინგლისის კომუნისტურ პარტიას. ხელისუფლების სათავეში მუშათა პარტიის ჩადგომა ბევრ ინგლისელ მუშას გაუცრუებს იმ ყალბ იმედებს, რომლითაც ის ფიქრობს, რომ ამ პარტიას შეუძლია მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. აქედან შესაფერი დასკვნის გამოტანის შემდეგ კი ის დადგება კომუნისტური დროშის ქვეშ კაპიტალისტური წესწყობილებისა და მისი დამქაშების გასანადგურებლად.

სულ სხვა მოვლენას აქვს ადგილი საფრანგეთში. აქ 1924 წლის მაისის არჩევნებში გამარჯვება წილად ხვდა წვრილბურჟუაზიული პარტიების ბლოკს და ეს ბლოკი მოექცა ხელისუფლების სათავეში, მაგრამ ფინანსიური გართულების გამო მალე იძულებული შეიქნენ მთავრობის სათავეში ისევ პუანკარე მოეწვიათ. დღეს საფრანგეთს განაგებს ეგრედწოდებული ნაციონალური გაერთიანების მთავრობა, რომელშიაც ცნობილ რეაქციონერ ბარტუსა და საროს გვერდით, თუმცა მორცხვად, მაგრამ მაინც ზის რადიკალსოციალისტების ლიდერი ერიო, რომელიც ხელმძღვანელობს განათლების სამინისტროს.

სანამ საპარლამენტო არჩევნებამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო იყო დარჩენილი, მემარცხენე ბლოკის პარტიები მშვენივრად შეხმატკბილებულნი თანამშრომლობდენ საფრანგეთის რეაქციონურ პარტიებთან, მაგრამ არჩევნების მოახლოვების მოლოდინში ისინიც იძულებულნი გახდენ. ახმაურებულიყვნენ და ამომრჩევლებისათვის ემცნოთ, რომ მათ არ დავიწყებიათ იმ გაცემული თამასუქების განაღდების საჭიროება, რომელიც გასცეს წარსულ საპარლამენტო არჩევნების დროს. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი ისევ ერიომ გადასდგა. მან „შეებრალა“ საფრანგეთის ღარიბი მოსახლეობა და მოინდომა სამოსწავლო რეფორმის გატარება. მისი პროექტის მიხედვით საშუალო სასწავლებლები ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყვნენ ღარიბი მოსახლეობის შვილებისთვისაც. ერიო მოითხოვდა პირველდაწყებითი და საშუალო სასწავლებლების გაერთიანებას და ამ მიზნით იმ 58 მილიონი მანეთის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვას, რომელც შემოდის ყოველწლიურათ საშუალო სასწავლებლებიდან სწავლის ფულის სახით.

რა თქმა უნდა საფრანგეთის რეაქციონური წრეებისათვის ეს იყო მთელი „რევოლიუცია“ სამოსწავლო სისტემაში და სწორედ ამიტომ იყო, რომ შავრაზმელების პრესამ ასტეხა განგაში კულტურის გარყვნის შესახებ და მსხვილი ბურჟუაზიის მაგარი მუშტის ჩვენების შემდეგ ერიო იძულებული შეიქნა უკან წაეღო თავისი სასკოლო რეფორმის პროექტი და 58 მილიონის ნაცვლად საფინანსო კომისიაში მოითხოვა ერთი მილიონი ფრანკის გადადება „ცდის სახით“. ეს იყო უბრალო საარჩევნო მანევრი და არა რეფორმის გატარების აუცილებელი მოთხოვნა, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ მენშევიკებისათვის იდეალურ დემოკრატიულ რესპუბლიკებში, სადაც მათი სიტყვით სრული „თანასწორობა“ სუფევს, დემოკრატია ისევეა დაბეჩავებული, როგორც მონარქიულ ქვეყნებში.

საპარლამენტო მუშაობის ერთად ერთ თვალსაჩინო მომენტს შეადგენს ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება. ამის ირგვლივ აძლევენ მთავრობას „ბრძოლას“ ოპოზიციონური პარტიები. წვრილბურჟუაზიული ბლოკის პარტიები აქაც შეეცადენ საარჩევნო კაპიტალის გაძლიერებას და მოითხოვეს ღარიბ მოსახლეობისათვის გადასახადების შემცირება, მაგრამ პუანკარეს მუქარამ პირდაპირ სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა არა მარტო ოპოზიციონერების მდგომარეობა, არამედ მთელი პალატა. მტკიცე ნებისყოფის მქონე პუანკარე კატეგორიულად აცხადებს, რომ ის არ დაუშვებს არავითარ შესწორებას, რომელიც გადასახადების შემცირებას გულისხმობს და დააყენებს ნდობის საკითხს. საფინანსო კომისიის სოციალისტი დეპუტატების წუწუნი, რომ ასეთ პირობებში სრულებით აღარ არის საჭირო ბიუჯეტის განხილვაო, სრულიად მართალია, მაგრამ რა გაეწყობა, ასეთია საფრანგეთის დღევანდელი დიქტატორის — პუანკარეს სურვილი და პალატამაც, რომლის უმრავლესობა მემარცხენე ბლოკის პარტიების დეპუტატებისაგან შესდგება, ძალაუნებურად ქედი უნდა მოიხარონ მბრძანებლის წინაშე და შეასრულონ მისი კარნახი. ესეც ერთი ნიმუშია „დემოკრატიის ბატონობის“ ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

პუანკარეს მშვენივრად ესმოდა მემარცხენე ბლოკის გაჭირვებული მდგომარეობა,, რომ ის დღეს ვერ შექმნიდა მთავრობის კრიზისს და ამიტომ გამოვიდა მის წინააღმდეგ ასე დიდი რიხით. მემარცხენე ბლოკმა თავისი უილაჯობის გამო თვითონვე ჩააყენა თავისი თავი ასეთ გაჭირვებაში და მას ამ გასაჭირიდან ვერ იხსნის, როგორც პარლამენტის ტრიბუნიდან მორცხვად ნათქვამი მემარცხენე ფრაზები და ვერც რადიკალური პარტიის თავმჯდომარის, მორის საროსა და მისი აგენტების საფრანგეთის სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობა იქ ლამაზი სიტყვების წარმოსათქმელად.

მომავალ არჩევნებში წარმატებისათვის ერთად-ერთი კოზირი მემარცხენე ბლოკისათვის არის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მოთხოვნა. რეაქციონერების პირველი შემოტევის დროს მემარცხენენი აქაც დამარცხდენ და ფაშისტური ბურჟუაზიის წინაშე წამოიჩოქეს, მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ არ გათავებულა. მემარჯვენენი ვერ არიან კმაყოფილი მარტო წარმომადგენლის შეცვლით და განაგრძობენ ბრძოლას ურთიერთობის სრულიად ჩაშლისათვის. სხვათა შორის ამისათვის მათ სურთ გამოიყენონ პეტლიურას მკვლელის პროცესი, რომელსაც ნათლავენ ბოლშევიკების აგენტათ.

ურთიერთობის შენარჩუნების საკითხში მემარცხენე ბლოკს მართლაც შეუძლია ამომრჩეველთა საგრძნობი რაოდენობის გადაბირება, ვინაიდან საფრანგეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გულწრფელად არის დაინტერესებული საბჭოთა კავშირთან ნორმალური ალებ-მიცემობის განვითარებით და სადაო საკითხების მოგვარებით.

ამრიგად მოახლოვებულ საპარლამენტო არჩევნების მოლოდინში მემარცხენე ბლოკი უკვე შეუდგა წინასწარ სამზადისს. მისი საქმიანობა ჯერ-ჯერობით მკრთალად მიმდინარეობს. ახლო მომავალი დაგვანახვებს, თუ როგ-

ორის ტემპით განაგრძობენ ეს პარტიები საარჩევნო ბრძოლას. ხოლო დამახასიათებელია ერთი გარემოება: ევროპის რეაქციონური მთავრობების მიერ განაწამები მშრომელი მასები ცდილობენ თავიდან მოიცილონ ეს მთავრობები. საქალაქო თუ სათემო არჩევნებში ემჩნევა მასების გამემარცხენება. რევოლიუციონური მუშათა კლასი თავს იყრის კომპარტიის დროშის ქვეშ, ხოლო წვრილბურჟუაზიული ელემენტები ეკედლებიან მენშევიკურ პარტიებს. ეს დაამტკიცა როგორც გერმანიაში მომხდარმა საქალაქო არჩევნებმა, ისე ჩეხო-სლოვაკიის მაგალითმაც, სადაც კომუნისტურმა პარტიამ და მენშევიკებმა საგრძნობ გამარჯვებას მიაღწიეს.

მოსალოდნელია, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები ინგლისსა და საფრანგეთში ხელისუფლების სათავეში მიიყვანს წვრილბურჟუაზიულ პარტიებს. ამით რა თქმა უნდა არსებითად მშრომელი ხალხის მდგომარეობა არ შეიცვლება, მაგრამ დაჭიმულ საერთაშორისო მდგომარეობაში დროებით მაინც დამყარდება ერთგვარი წონასწორობა. კომუნისტური პარტიები და კერძოდ საბჭოთა კავშირი ამ მოვლენას შესაფერისად გამოიყენებენ.

ს. ელიაძე.

# პოლიტიკური მიმოხილვა

**1. მემაღაროეთა გაფიცვები: შუა-გერმანიაში, ესპანეთში და კოლო-რადოს შტატში. 2. უნგრეთის რევოლიუციონერების პროცესი ბუდაპეშტში და 3. პეტლიურას მკვლელის გასამართლება პარიზში.**

17 ოქტომბერს დაიწყო შუა-გერმანიის მემაღაროეთა გაფიცვა, რომელშიდაც მიიღეს მონაწილეობა ამ დარგის მრეწველობის მუშების მთელმა 100 პროც.

გაფიცვის გამოცხადების ფაქტი იმდენად ეთანხმებოდა მუშების სულიერ განწყობილებას და შეგნებას, რომ, მიუხედავად ყოველგვარი წინასწარი საგაფიცვო სამზადისისა, თავისი სიძლიერით, ორგანიზაციული სიმტკიცით და დისციპლინით მან სრულიად მოულოდნელი ხასიათი მიიღო მწარმოებლებისა და ხელისუფლებისათვის.

1926 წ. ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვის დამარცხებისა და კაპიტულიაციის შემდეგ, შუა-გერმანიის მაღაროს მეპატრონეებს ვერ წარმოედგინათ, რომ გერმანიის მემაღაროეები გაბედავდენ ასეთი ნაბიჯის გადადგმას, გაფიცვის გამოცხადებას. ისინი არ ფიქრობდენ, რომ, ედენბურგის და ბლეკპულის კონგრესებზე მიღებული დადგენილებების შემდეგ, სადაც უარყოფილია არა თუ გაფიცვების გამოცხადება, არამედ კონსტიტუციით დასაშვები კონფლიქტების გამოწვევაც, ადგილი ექნებოდა მუშების კვლავ ასეთ „უპასუხისმგებლო“ გამოსვლებს. მაღაროს მეპატრონეებს არ ეგონათ, რომ საერთაშორისო სოციალ-გამყიდველების მიერ დაწყებული კამპანია „წარმოებაში მშვიდობიანობის“ დაცვის ლოზუნგის გარშემო, ამაზე მეტ გავლენას ვერ მოახდენდა მუშათა მასებზე, ამაზე მეტად ვერ გასტეხდა მათ მებრძოლ განწყობილებას.

არ გამართლდა მათი მოლოდინი. მემაღაროეებში კიდევ აღმოჩნდა იმდენი კლასიური შეგნება და თავის დაცვის უნარი, რომ ბრძოლა მიეცა მაღაროს მეპატრონეთა სისტემატიურ შემოტევისათვის და მოითხოვეს 8 ს. სამუშაო დღის აღდგენა და ხელფასის გადიდება დაახლოვებით 40 პროცენტით. მაღაროს მეპატრონეები უბრძოლველად არ წავიდენ ასეთ დათმობაზე და ბრძოლაში გამოიწვიეს მაღაროს მუშები. გაფიცვის დამარცხებას პირველ რიგში ისინი შეეცადენ შტრეიკბრეხერების საშუალებით, რომელთა ორგანიზაციები ბურჟუაზიას ყველგან აქვს ჩამოყალიბებული ასეთ შემთხვევებისათვის, და გამოიწვიეს ისინი გაფიცულების შესაცვლელად. მაგრამ მან საქმეს ვერ უშველა. შტრეიკბრეხერების მცირე რიცხვი ვერ ახერხებდა წარმოებისათვის საჭირო მუშახელის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და გაფიცვის გახანგრძლივება, გაჩერებით ემუქრებოდა სხვა წარმოებებსაც.

ამ ფრონტზე დამარცხების შემდეგ. მათ მიმართეს მეორე საშუალებას—სოციალ-მოღალატეების დახმარებას. ისინი ხომ მუდამ მზათ არიან ამ მოწოდებისათვის და სასწრაფოდ შეუდგენ გაფიცვის ლიკვიდაციის მეთოდის და ფორმის შემუშავებას. არც ამ მხრივ აკლია მათ გამოცდილება და პრაქტიკა. პირველი იერიში გაფიცულების წინააღმდეგ მათ დაიწყეს ჩვეულებრივი ტრაფარეტით—გაფიცვის ეკონომიურ ჩარჩოებში ჩაყენების მოთხოვნით, რომ ამით გაეტეხათ გაფიცულების მებრძოლი ენტუზიაზმი და ორგანიზაციული სიმტკიცე. ამის შემდეგ მათ ჩვეულებისამებრ შექმნეს თავისი მონაწილეობით სამედიატორო სასამართლოს კომბინაცია ორივე მხარესათვის მისაღები პირობების შესამუშავებლად, რომლის დადგენილებები მიიღებინეს სახელდახელოდ მოწვეულ „სადელეგატო კრებებს“.

ასე დაასრულეს სოც.-მოღალატეებმა ასეთი ენტუზიაზმით დაწყებული მემაღაროეთა გაფიცვა, როდესაც მაღაროს მეპატრონენი იძულებული იყვენ მთლიანად და უცვლელად დამორჩილებოდენ გაფიცვის დაწყებისას წაყენებულ პირობებს.

2.

ამ გაფიცვის პროცესში იწყება ესპანეთის სამთომადნო მუშების გაფიცვაც, რაც გამოიწვია სამუშაო დღის კიდევ ერთი საათით გადიდების დაკანონებამ, როდესაც 9 ს. სამუშაო დღის ატანაც შეუძლებელი იყო არსებულ მინიმალურ ხელფასის პირობებში.

უკვე ოთხი წელი გავიდა, რაც ესპანეთში არა თუ მუშათა მოძრაობის შექმნა, არამედ მისი მოგონებაც კი აკრძალულია. 1923 წ. გამარჯვებული ფაშიზმი, წინასწარ შეუთანხმებლად და ნებადაურთველად, მოთხოვნილების წაყენების უფლებასაც არ აძლევს მუშებს მწარმოებლების მიმართ.

ესპანეთის დიქტატორის პრიმო-დე-რივერას უფლებები სრულიად შეუზღუდველი და განუსაზღვრელია. მისი ყოველგვარი განკარგულების დარღვევა სახელმწიფოს ღალატათ არის გამოცხადებული და დამნაშავეს სიკვდილით დასჯა მოელის. ფაშისტური რეჟიმის ტერორის ქვეშ დაყენებული ესპანეთის ხალხი, სადაც მოკლულია ყოველივე ინიციატივა და აზროვნება, მოთმინებით იტანს ამ საშინელ მმართველობის სისტემას ოთხი წლის მანძილზე.

19 ოქტომბრის გაფიცვა ასტურიაში პირველი შემთხვევაა და სრულიად უჩვეულო მოვლენა ფაშისტური ესპანეთისათვის. ამ გაფიცვამ დიდი დისონანსი შეიტანა პრიმო-დე-რივერას გამარჯვების ოთხი წლის თავის საზეიმო დღესასწაულში. გაფიცვამ დაარღვია მშვიდობიანობის ილუზია, რომელსაც ერთმანეთს ულოცავდენ ესპანეთის მეფე ალფონს მე-13 და დიქტატორი პრიმო-დე-რივერა.

გაფიცვის გამოცხადება მაშინ, როდესაც საბოლოოდ დამარცხებულად სთვლიდა ესპანეთის ფაშიზმი რევოლიუციონურ მოძრაობას და დემოკრატიზმის მირონსცხებდა ეგრედწოდებულ ნაციონალური კრების სახით მოწვეულ „პარლამენტისაგან“, მოსალოდნელი არ იყო.

19 ოქტომბრის გაფიცვამ ძალიან გააჯავრა ფაშისტური რეაქცია და შეიარაღებული ბრძოლით უპასუხა გაფიცულ მუშებს. ხელისუფლების ასეთმა პოზიციამ კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა. მუშებიც იძულებული გახდენ, რომ იარაღისათვის მიემართათ. მოძრაობამ მიიღო აშკარა ანტი-ფაშისტური ხასიათი, რის შემდეგ დარწმუნდა ფაშისტური მთავრობა, რომ მოძრაობის ლიკვიდაცია არც ისე ადვილი იყო და დაითანხმა მაღაროს

მეპატრონეები წაყენებული პირობების მიღებაში, რომელთა კონკრეტიული დამუშავება და გატარება დიქტატორმა მიანდო რეფორმისტებს მწარმოებლებთან ერთად.

სოც.-დემოკრ. პოლიტიკური მაკლერები ყველგან არიან, ისინი აქაც ჩაერიენ საქმეში, პოლიტიკურ ბაზარზე კიდევ ეძახიან მათ. დროგამოშვებით კაპიტალის მეპატრონეები და ფაშისტური მთავრობები.

3.

არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც გომპერსის ერთგული მემკვიდრე გრინი, ამერიკის შრომის ფედერაციის ყრილობაზე ლოს-ანჟელოში, ქვეყანას არწმუნებდა, რომ მაკდონალდ — ბენ-ტერნერების მიერ წამოყენებული „ინდუსტრიალური მშვიდობიანობის" დაცვის იდეა, დიდი ხანია ტარდება ამერიკის მრეწველობაში, რომ ამერიკაში განხორციელებულია კლასთა თანამშრომლობის ლოზუნგი და უარყოფილია საგაფიცვო მოძრაობა.

გრინი მართალია, რომ გომპერისტების პროფორგანიზაციები, რომლებიც შესდგება კვალიფიკაციური მუშებისა და მოხელე არისტოკრატიისაგან, განირჩეოდა თავისი კონსერვატორობით და ნაციონალური განსაზღვრულობით ევროპის წინანდელ ინტერნაციონალურ და რევოლიუციონურ პროფმოძრაობიდან და ამიტომ არ შედიოდენ ისინი ამსტერდამის გაერთიანებაში, მაგრამ ის არ არის მართალი, როდესაც ამბობს, რომ ამერიკაში ვითომც განხორციელებული იყოს „ინდუსტრიალური მშვიდობიანობა", ამას ადასტურებს 19 ოქტომბრის კოლო-რადოს შტატში დაწყებული მემაღაროეთა გაფიცვა და იქვის ქვეშ აყენებს გრინის „ავტორიტეტულ" განცხადებას, ხოლო სამთომადნო ფედერაციის მოქმედება, რომელმაც ბრძოლა გამოუცხადა მთავრობის მიერ კანონ გარეშე აღიარებულ გაფიცვას, ამართლებს გომპერსისტების ტრადიციას, რომ ისინი ხელს უშლიან საგაფიცვო მოძრაობას და იცავენ „ინდუსტრიალურ მშვიდობიანობას" მუშების ხარჯზე. ამ მხრივ ამერიკის შრომის ფედერაციის ლიდერებს აქვს პრეტენზია პირველობაზე ინგლისის ტრედიუნიონებთან, მათ გაცილებით მეტი პრაქტიკა და დიდი ხნის ისტორია აქვს მუშათა მასების მოღალატეობასა და გამცემლობაში.

გრინი არც ეხლა ჩამორჩება ინგლისელ კოლეგებს ბურჟუაზიასთან კავშირის შეკვრაში და თანამშრომლობის დამყარებაში; ეს მან დაამტკიცა ლოს-ანჟელოს ყრილობაზე, როდესაც მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ამერიკის ფაშისტურ ლეგიონს, ხოლო შავკანიანების პროფორგანიზაციებს უარი უთხრა ფედერაციაში მიღებაზე. ამერიკის იმპერიალისტების ნდობა მან არა ნაკლებ გაამართლა უკანასკნელი რეზოლიუციით, სადაც თანხმობას აძლევს მთავრობას, რომ ჩინეთიდან არ იქნას გამოყვანილი ამერიკის შეიარაღებული ძალა და პირდება მონროეს დოქტრინის ბეჯითად დაცვას, ამერიკის კაპიტალის მფარველობის გაწევას.

4.

17 ოქტომბერს, ბუდაპეშტში დაიწყო 53 უნგრელი რევოლიუციონერების პროცესი, რომლებსაც ასამართლებენ ადმირალ ხორტის მიერ დანიშნული ფაშისტი მოსამართლენი. ეხლა დაწყებული პროცესი ამ საქმეზე არ არის პირველი. მათ საქმეს არჩევდა ექვსი თვის წინედ ე. წ. მრისხანე საგანგებო სასამართლო, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა მათი სიკვდილით დასჯით შური ეძია და ტერორი მოეხდინა რევოლიუციონურ მოძრაობაზე და მუშათა კლასზე. ეს გადაწყვეტილება მაშინ ვერ მოიყვანეს მათ სისრულეში, რადგან მათი ამ სახით გასამართლების წინაალმდეგ, აქტიურად გამოვიდენ საერთაშორისო რევოლიუციონური, კულტურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ხელიდან წაართვეს ჯალართეპს მათი სიცოცხლე.

ეხლანდელ პროცესზეც ძალიან ცდილობენ „მოსამართლენი", რომ როგორმე სისხლის სამართალის ხასიათი და შინაარსი შეიტანონ მათ ბრალდებაში. სისხლის სამართლის დამნაშავეებათ გამოაცხადონ ისინი, ამისთვის განგებ ყავთ შეყვანილი ამ საქმეში, მოწმეების სახით, მთელი რიგი პროვოკატორების, რომლებიც ყალბ ჩვენებებს იძლევიან ბრალდებულების წინაალმდეგ. მაგრამ სასამართლოს წინაშე წარმდგარ მებრძოლთა რევოლიუციონურ შეგნებაზე, ვერ ახდენს ეს გავლენას. ისინი გაბედულად იცავენ თავის რევოლიუციონურ იდეას, წარმოებულ ბრძოლას და შემდეგშიაც ჰპირდებიან ბრძოლის გაგრძელებას ფაშისტური რეჟიმის დასანგრევად და უნგოეთის პირველი საბჭოთა რესპუბლიკის აღსადგენად.

ბრალდებულთა მეთაური სანტო არ სცნობს თავს ცალდებულად, რომ პასუხი გასცეს სასამართლოს შეკითხვებზე და თავის მოქმედებაზე პასუხისმგებლობას კისრულობს მხოლოდ კომუნისტური ორგანიზაციების წინაშე.

სოციალისტური პარტიის ლიდერი ვაგი თავის სიტყვაში ფარდას ხდის სოც.-დემ. ღალატს და გამცემლობას, როგორც ხორტის ინტერვენციის დროს, ისე შემდეგშიც, ბეტლენთან დაკავშირებით. ის ამტკიცებს, რომ სოც.-დემ. თვით ბურჟუაზიაზე უფრო უსინდისო და თვალთმაქცური დამცველები არიან კაპიტალისტური სისტემის და რეაქციის ბატონობის.

17 ოქტომბერს დაწყებული 53 პროცესი შექმნილია არა მარტო მათ დასასჯელად და იზოლიაციისათვის საზოგადოებიდან, არამედ ახალი კამპანიის დასაწყებად და იერიშის მისატანად კომუნისტების არალეგალური და სოციალისტური პარტიის ლეგალური ორგანიზაციების დასანგრევად — ეს პროცესი საშუალებას მისცემს ფაშისტურ პოლიციას, რომ გააძლიეროს რეპრესიები, რათა მთავრობა უზრუნველყოფილად გრძნობდეს თავს საერთაშორისო რეაქციის დავალებების შესასრულებლად და დაარწმუნოს პუანკარე—ჩემბერლენები, რომ უნგრეთი აქტიური მებრძოლია ანტი-საბჭოთა ფრონტში.

ეს აზრი ორი თვის წინედ გამოთქვეს უნგრეთის რეაქციონერებმა, უნგრეთ - რუმინეთის კონფლიქტის გარჩევის დროს ერთა ლიგის სექტემბრის სესიაზე.

5.

26 ოქტომბერს, დასრულდა პეტლიურას მკვლელის შვარცბარდის პროცესი, რომელსაც დიდი მომზადებით შეხვდა საფრანგეთის რეაქცია და უკრაინის დამარცხებული კონტრ-რევოლიუციონური ნარჩენები ემიგრაციაში.

ამ ხანად უსაქმოდ დარჩენილი საფრანგეთის რეაქციონერები, ამ პროცესით მოელოდენ ახალი მასალის მიღებას საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ, ახალი კამპანიის დასაწყებად. სასამართლოს, პროკურატურის დამცველების შემადგენლობა, რომელთაც კარიერა გაიკეთეს ვე..აელის მკვლელის, პოლიტიკური ავანტიურისტის, მერაბიშვილის პროცესზე, გვიჩვენებს, რომ საფრანგეთის ოფიციალური წრეები პროცესით ძალიან დაინტერესებული იყვენ, დიდ სარგებლობას მოელოდენ.

მაგრამ მათი იმედი არ გამართლდა; პირიქით, პროცესმა ნამდვილი სურათი გადაუშალა საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს უკრაინის კონტრ-რევოლიუციის მოქმედების შესახებ' თუ რამდენად დარბეული, განადგურებული და შეწუხებული იყო ხალხი პეტლიურას ბატონობის დროს. პროცესმა ისიც გამოამჟღავნა, თუ რა მონაწილეობას ღებულობდენ საფრანგეთ-ინგლის-პოლონეთი ამ ინტერვენციაში, თუ რამდენ დახმარებას უწევდენ ისინი ამ ავანტიურისტს უკრაინის აოხრებაში და რას ღებულობდენ ისინი პეტლიურასაგან კომპენსაციათ.

შვარცბარდის პროცესმა მიიღო რუსეთის რევოლიუციისა და კონტრ-რევოლიუციის სამსჯავროს ხასიათი, რომლის წინაშე საბჭოთა ხელისუფლება გამოვიდა გამარჯვებული. ფიზიკურად დამარცხებულმა უკრაინის კონტრ-რევოლიუციამ სასტიკი და მოულოდნელი მორალური დამარცხება იგემა ამ პროცესზე. პეტლიურა,

რომელიც უნდოდათ გამოეცხადებიათ ეროვნულ გმირად და იდეალურ საზოგადო მოღვაწეთ. ერისა და ხალხის მოღალატეთ იქნა პროცესზე ცნობილი. მისი ორი წლის მმართველობის დროს, ხალხის ძარცვისა და „პოგრომების" მეტი ვერაფერი აღმოაჩინა სასამართლომ.

პროცესის ასეთი ხასიათის მიღების შემდეგ, სასამართლომ დაჰკარგა იმედი მისი საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო დემონსტრაციების არენად გამოყენებას და უკანასკნელი ცდა იქეთ იყო მიმართული, რომ კომუნისტ. ორგანიზაციებისათვის დაეკავშირებიათ შვარცბარდი და მომხდარი აქტი, მაგრამ ვერც ეს მოხერდხა, მთელი რიგი მოწმეების, შვარცბარდის და მისი მეთვალყურე პოლიციის ჯაშუშის ჩვენებები ამტკიცებდენ, რომ მკვლელობა ებრაელმა შვარცბარდმა ჩაიდინა საკუთარი ინიციატივით, პირადი შურისძიების დასაკმაყოფილებლად, რომ მას არავითარი კავშირი არ ჰქონებია არასოდეს რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფთან.

შვარცბარდის პროცესმა არ გაამართლა საფრანგეთის რეაქციონერების მოლოდინი. პროცესზე დაგროვილმა მასალებმა იძულებული გახადა ბურჟუაზიის კლასიური სასამართლო, რომ გაემართლებია უკრაინის დამარცხებული „პოგრომული" კონტრ-რევოლიუციის ხიომძლიანილზე შურისმაძიებელი შვარცბარდი.

ქ. ჭეიშვილი.

# თვალის ერთი გადავლებით

2

ილია ჭავჭავაძის ერთი გმირი ამბობს: მოწყალე ღმერთს თავისი უხვი კალთა ჩვენს ქვეყანაში დაუბერტყია. ყველაფერი უხვადა გვაქვს, მაგრამ მოხმარა არ ვიცითო.

ეს ჭეშმარიტებაა. რა არ არის ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში? მიწის ზედა პირი და მისი წიაღი სავსეა უამრავი დიდებით. მხოლოდ ნუ დაიზარებ, მედგრად დაჰკარი ბარი და წერაქვი და ქვეყანა აყვავდება.

მაგრამ ამის თქმა ადვილია, ქმნა კი ძნელი საქმე ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია ეს ვინ არ იცის. მაგრამ მისი ულეველი სიმდიდრე ჯერ ვერ მოგვიხმარია, ვერ გამოგვიყენებია. და ამაში მარტო ჩვენი სიზარმაცე, გაუნათლებლობა, უკულტურობა როდი იყო დამნაშავე, აქ კიდევ უფრო დამნაშავე იყო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა.

ყველამ იცოდა, რომ ჩვენი მიწის წიაღი ულეველ სიმდიდრეს მალავს თავის ბნელ გულში. მაგრამ სად იყო, ვინ იყო პატრონი? თვითმპყრობელობა იმის ცდაში იყო, რომ თუ რაიმე ჩვენში სასარგებლო და ხელსაყრელი აღმოჩნდებოდა, თავისი გაუმაძღარი მუცლისაკენ, ცენტრისაკენ გაექანებია. ის საქმეს ასე უყურებდა: აქ, ჩვენში რაიმე დიდი საქმის წამოწყება, მრეწველობის განვითარება, „იმეროოდცებს" გაამდიდრებდა, ეს კი ხელსაყრელი არ იყო თვითმპყრობელობისათვის. ამიტომ იყო, რომ ის არა თუ თვითონ არაფერს არ აკეთებდა, ამ დარგში, ყოველ ღონეს ხმარობდა მოეკლა კერძო ინიციატივაც, გასაქანი არ მიეცა ადგილობრივი ძალებისათვის. თვითმპყრობელობა არა თუ თვითონ არ ფიქრობდა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის ხალხის საკეთილდღეოდ მოხმარას, ყოველ ღონეს ხმარობდა ამ სიმდიდრით ხალხს არ ესარგებლა და ათასგვარ ხერხს იგონებდა ჩვენში მრეწველობის შესაფერხებლად.

დღეს ახალთაობისთვის ეს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენში წარმოების ყველა დარგმა განიცადა თვითმპყრობელობის ასეთი პოლიტიკის მძიმე ხელი. მოიგონეთ ჭიათურის მარგანეცი. როგორ უშლიდა ხელს, როგორ ულობავდა გზებს ამ დიდ მრეწველობას თვითმპყრობელობა! ჯერ იყო და გააკეთეს რაღაც ვიწრო ლიანდაგიანი რკინისგზა ჭიათურიდან შორაპნამდე, სადაც მარგანეცი პატარა რონოდებიდან ძალა-უნებურად უნდა გადაექვირთათ მთავარი მაგისტრალის დიდ რონოდებში, რაც ხელს უწყობდა ჭიათურის მარგანეცის მეტის მეტად გაძვირებას. ამას დაუმატეთ ის დიდი ფრახტი, რომელიც დაადეს მარგანეცს ჭიათურიდან შორაპნამდე: რაღაც 35 ვერსის მანძილზე ამ მადნეულის გადატანა ღირდა ორჯერ მეტი, ვიდრე იმავე მადნეულის გატანა 150 ვერსზე, შორაპნიდან ფოთამდე... ყოველი ეს პირდაპირ აუტანელ პირობებს ქმნიდენ მარგანეცის მრეწველობისათვის და თუ არა ის გარემოება, რომ ჩვენი მადანი სხვა მის მეტოქეებს გაცილებით სჯობდა თავისი ღირსებით,—თქვენი მტერია,—ჩვენი მარგანეცი დღესაც ისე-იქნებოდა ხელ - უხლებლად მიწის წიაღში.

მოიგონეთ კახეთის რკინისგზის ისტორია. ცნობილია, რომ მეორე კახეთი ქვეყნად არ არსებობს. ეს პარადოქსათ ნურავის ეჩვენება. საქართველოს მშვენება კახეთი მთელს ქვეყანაზეა განთქმული მევენახეობითა და მეღვინეობით. დამტკიცებულია, რომ კახური წითელი ღვინოები გაცილებით სჯობს საფრანგეთის ღვინოებს... მაგრამ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც კახეთის ეს დიდება იქვე, ადგილობრივად ილუპებოდა. უგზოობის გამო, ღვინო ბაზარზე ვერ გადიოდა. გლეხი, თუ მას უნდოდა ახალი ჭირნახულისთვის ჭურჭელი ჰქონებოდა, იძულებული იყო ძველი, დამდგარი და დაწმენდილი ღვინო გადაეღვარა. ასეთი მაგალითები ასობით შეგვიძლია დავასახელოთ. ამას ხედავდენ ქართველი საზოგადოებრივი ძალები და ცდილობდენ რამე გამოსავალი მოენახათ. ორმოცი წელიწადი გაგრძელდა კახეთის რკინისგზის გაკეთების შესახებ მთავრობისადმი თხოვნა-მუდარა: კაპიტალი იყო, მთავრობას მხლოდ ნებართვას თხოვდენ რკინის გზის გასაყვანად. მაგრამ ნებართვის მიღება შეუძლებელი შეიქნა. რატომ? იმიტომ, რომ კახეთის ღვინოები თუ ბაზარზე გამოჩნდებოდა, კონკურენციას გაუწევდა საუფლისწულო მამულების ღვინოებს, დაამარცხებდა ყირიმისა და სხვა ადგილების ღვინოებს, რომელიც დიდი მთავრებისა, თავადებისა და გრაფების მამულებიდან გამოდიოდა.

რომ საქართველოში ნავთი არის ეს იცოდა ყველამ. ეს მთელ ქვეყანას აუწყა ისეთმა უდავო ავტორიტეტმა, როგორიც მენდელეევი იყო. მაგრამ ჩვენი ნავთის მრეწველობის შესახებ არაფერს ფიქრობდენ, რადგანაც ეს კონკურენციას გაუწევდა არსებული ნავთის მრეწველობას, რომლითაც დაინტერესებული იყვენ დიდი მთავრები და კავკასიის ადმინისტრატიულ მწვერვალებზე მდგომი პირები. ჩვენ ვიცით, რომ, მაგალითად, ვორონცოვ — დაშკოვს გვარიან მოზრდილი „პრომისლები" ქონდა ბაქოში.

მაგრამ ყველა ასეთ შემთხვევაში გარდა „კონკურენციისა" იყო ერთი დიდი მიზეზი, ასე ვთქვათ: ყოველ მიზეზთა მიზეზი, რომელიც უდიდეს როლს თამაშობდა ამ საქმეში. ეს მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ თვითმპყრობელობას სურდა ჩვენში მოეკლა პოლიტიკურად დამოუკიდებლად არსებობის შესაძლებლობის შესახებ, უბრალო ოცნებაც კი. ამიტომ ის ცდილობდა ჩვენთვის მოესპო ეკონომიური საფუძველი; ის ცდილობდა, რომ ჩვენ ეკონომიურად მიჯაჭვული ვყოფილიყავით ცენტრთან; მუდამ ცენტრის შემყურე, მისი მოწყალების მომლოდინე, მისი ყურ-მოჭრილი მონები ვყოფილიყავით.

ეს ჩინებულად მოახერხა თვითმპყრობელობამ. ამიტომ იყო, რომ როცა ის სამუდამოთ დაეცა, როცა საქართველომ დამოუკიდებლად არსებობა მოინდომა, აშკარა შეიქნა, რომ მას ამისთვის საჭირო ძალა არ მოეპოებოდა, რომ მას არ ქონდა არავითარი ეკონომიური საფუძველი, არ ქონდა ტრანსპორტი, სათბობი მასალა, არ ქონდა მრეწველობა, არ მოეპოვებოდა პური. ყოველ

ეს მას მოქონდა ცენტრიდან... პირველ თვეებშივე გამოაშკარავდა, რომ ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ყოვლად შეუძლებელი იყო. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ტყუილი ყოფილა სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა თუ მას ეკონომიური საძირკველი მაგარი არა აქვს.

ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ის ხელისუფლება, რომელიც ქვეყანას უსპობს ეკონომიურ საფუძველს—უსპობს მას პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. მან უნდა იცოდეს, რომ ის ვინც ქვეყანას ეკონომიურ საფუძვლებს უქმნის უმაგრებს პოლიტიკურად არსებობის საფუძველს.

ეს ჭეშმარიტებაა და აქედან უნდა გამომდინარეობდეს ხალხის დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი.

რას ვხედავთ დღეს ჩვენში?

დღეს საქართველოში უდიდესი მუშაობა წარმოებს.

დღეს საქართველოში უდიდესი მუშაობა წარმოებს. სიმდიდრისა, რომელიც უყურადღებოდ იყოს დატოვებული, რომელსაც არ შეხებოდეს მუშის ჩაქუჩი, ბარი ან წერაქვი და ხალხის საკეთილდღეოთ არ ამუშავებდენ მას... მარტო ის, რაც მე ქუთაისში თვალის ერთი გადავლებით ვნახე, უტყუარი საბუთია ზემოთ ნათქვამის დასამტკიცებლად.

დავიწყოთ რიონჰესით.

ეს უდიდესი საქმე და თუ გნებავთ უდიდესი საფუძველი საქართველოს დამოუკიდებლად არსებობისა უკვე გასცილდა თეორეტიულად მსჯელობის ფარგლებს. აქ უკვე დაუმთავრებიათ არა თუ გეოლოგიური გამოკვლევა, არა თუ შეუსწავლიათ „გრუნტი“ და სხვა მსხვილი და წვრილმანი დეტალები იმ ადგილისა, სადაც გვირაბი უნდა გაიყვანონ, უკვე აუშენებიათ თხუთმეტიოდე დიდრონი სახლები 1.500 მუშის საცხოვრებლად. აქ იქნება 5000 მუშა. თანდათან შენდება მათთვის საჭირო სახლები. დამზადებულია გვირაბში საჭირო საშენი ქვა, კირი, ხე-ტყე და სხვა. იმ ადგილიდან, სადაც უნდა დაიწყონ გვირაბის ბურღვა, მწვანე ყვავილიდან სადგურ რიონამდე, რვა კილომეტრის მანძილზე უკვე გაყვანილია წყალსადენი. ამ წყალსადენის გაყვანამდე აქ ძნელი იყო თურმე მუშაობა, რადგანაც წყალი, არსად იყო და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ხუთ მანეთამდე აიყვანეს ერთი ვედრო წყალის ფასი. დღეს კი ამ წყალსადენიდან მცხოვრებლები სრულიად უფასოდ იღებენ საჭირო წყალს.

მუშების ბინების უმეტესობა აშენებულია ჭომაში, რიონის მარჯვენა ნაპირზე; იქვე გაუკეთებიათ ჩინებული მოკირწყლული გზა ქუთაისიდან რაჭაში მიმავალი დიდი შარა გზიდან. ეს ახალ გაყვანილი გზა პორომის საშუალებით უერთდება მწვანე ყვავილაში იმ ადგილს, სადაც გვირაბი დაიწყება.

ჩქარის ტემპით წარმოებს დროებითი საჭირო ეგრეთწოდებული დამხმარე 700—800 ცხენის ძალიანი ელსადგურის აშენება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მთელ ქუთაისში დღეს 120 ცხენის ძალის ოდენი ელექტრონი ძლივს აქვთ, ეს დროებითი ელსადგური უდიდეს მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

გვირაბი აქ იქნება ორი: პირველი 1 ნახ. კილომეტრი, ხოლო მეორე — 1 კილომეტრი სიგრძით. ღია არხი კი იქნება 5 ნახ. კილომეტრი; ამრიგად მთელი არხის სიგრძე უდრის 8 კილომეტრს. ტურბინები იქნება რიონის სადგურთან, სადაც არხიდან წყალი ჩამოვარდება 60 მეტრის სიმაღლიდან.

ამ საქმეზე გადადებულია 13 მილიონი მანეთი. ეხოდენი ფული, გარდა რამდენიმე მილიონი მანეთისა, რაც საჭირო იქნება ტურბინებისა და სხვა მანქანების შესაძენათ, დატრიალდება დასავლეთ საქართველოს სოფლებში, და, რა თქმა უნდა, მოხმარდება სოფლის მეურნეობის აყვავების საქმეს.

იმედი აქვთ, რომ დეკემბრის თვეში უკვე შეუდგებიან გვირაბის ბურღვას.

სიამოვნებით უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი დიდი საქმისთვის დღეს ჩვენ მოგვეპოებიან ჩვენი საკუთარი, ადგილობრივი მეცნიერული და ტეხნიკური ძალები და არ დაგვჭირდება „ვარიაგების“ მოპატიჟება. ამ ადგილობრივმა ძალებმა უკვე ჩინებულად დაიჭირეს გამოცდა ზაჰესის აშენების დროს და დღეს თავის დიდ გამოცდილებას ისინი გამოიყენებენ რიონჰესის აშენების დროს.

მუშაობას ადგილობრივ ხელმძღვანელობს ამხ. ბაგრატ მიქელაძე, რომელმაც ასე ისახელა თავი ზაჰესის აშენების საქმეში.

**ბარიტის მრეწველობა** ჯერ სრულიად უცნობი საქმეა საბჭოთა მთელ კავშირში. მთელ კავშირში ბარიტის სამშობლოდ ცნობილია: ოლონეცის გუბერნია, ურალის მთები და ქუთაისის გუბერნია, განსაკუთრებით ქუთაისის, შორაპნისა და ლეჩხუმის მაზრები.

ბარიტის უმისოდ წარმოუდგენელია საღებავების მრეწველობა. საბჭოთა კავშირი უამრავ ფულებს უხდის სხვა სახელმწიფოებს, განსაკუთრებით გერმანიას საჭირო ბარიტისათვის. ახლად ფრთებ გაშლილი საბჭოთა მრეწველობა იძულებული შეიქნა თავისი ბუნებრივი სიმდიდრე გამოეყენებია. ამიტომ ყველა დასახელებული ადგილებიდან აიღეს ბარიტის ნიმუშები და ქიმიურად შეისწავლეს იგი. ბედმა ქუთაისს გაუღიმა: მისი ბარიტი გაცილებით უფრო უკეთესი გამოდგა, ვიდრე ყველა სხვა დასახელებული ადგილებისა.

ეს იყო მიზეზი, რომ საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა მთავრობამ ქუთაისი აირჩია მრეწველობის ამ დარგის ცენტრად. ამ მიზნით გადაიდო საჭირო თანხა დიდი ქარხნის დასაარსებლად, რომელმაც მთელ კავშირს უნდა მისცეს საკმაო ბარიტი. ქარხნის შენება მიმდინარე წლის დამდეგს დაიწყეს; მუშაობა წარმოებდა დაკვრითი წესით და დღეს სრულიად დამთავრებულია ამ ქარხნის რკინისა და ბეტონის უზარ-მაზარი შენობა, რომელიც უდრის 30X7 ნახ. X5 საჟენს.

ამ ქარხნისათვის საჭირო მანქანები უკვე შეძენილია გერმანიაში და მოელიან ორი თვის განმავლობაში. ქარხნის დამთავრება გადაწყვეტილია ამ ზამთარში; პირველ მაისს იგი უკვე დაიწყებს მუშაობას და სასიცოცხლო სულს შთაბერავს მიძინებულ ქუთაისს, რომლის სახელსაც შეიტანს სამრეწველო ცენტრების რიცხვში.

მთავარი მაგისტრალიდან ქარხანამდე უკვე გაყვანილია რკინისგზა, რომელიც უშუალოდ მიაწოდებს ქარხანას ნედლ მასალას და გამოიტანს დამზადებულ პროდუქციას. ქარხანა 8 საათის სამუშაო დღით წლიურად მისცემს 500 ათას ფუთ დამზადებულ საქონელს. ფუთი პროდუქტი კი ღირს ბაზარზე 4-დან 6 მანეთამდე. მაშასადამე ქარხანა წლიურად დაამზადებს 2—3 მილიონი მანეთის საქონელს. როგორც ხედავთ, წარმოება დიდია. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ქარხანაში ერთობ მცირე იქნება მუშა - ხელი: ნავარაუდევია მხოლოდ 40 მუშა. ეს იმით აიხსნება, რომ ამ მრეწველობაში ზედმიწევნით განვითარებულია შრომის მექანიზაცია. მანქანები თავის თავად აკეთებენ ყველაფერს, გარდა ნედლი მასალის მიწოდებისა და დამზადებული საქონლის გაზიდვისა.

**აბრეშუმის ძაფის სახვევ** ფაბრიკას, რომელიც შენდება ბარიტის ქარხნის გვერდით, მინიჭებული აქვს საკავშირო მრეწველობის მნიშვნელობა. ამიტომ ეს ფაბრიკა კეთდება საკავშირო თანხით აბრეშუმის სამშობლოს ცენტრ ქუთაისში. ეს ფაბრიკა ახლა დაუწყიათ. მის ასაშენებლად ყველაფერი მასალა მზად არის და იგი მოთავებული იქნება 1928 წლის ზაფხულის თვეებში.

ამ ფაბრიკაში 8 საათის სამუშაო დღით ნავარაუდევია 300 მუშა - ქალი.

ამავე რაიონში განზრახულია ტომატის ქარხნის გაკეთება. მუშაობა ჯერ არ დაუწყიათ.

**კირის საწვავი ქარხანა.** ქუთაისს ამ საქმეშიც გაუღიმა ბედმა. კირის ქარხნები ბევრია ამიერ - კავკასიის ფედერაციაში, განსაკუთრებით აზერბეიჯანში. მაგრამ გამოირკვა, რომ ქუთაისის კირი 50 პროც. უკეთესი გამოდგა სხვა რესპულიკების კირზე. ქუთაისიდან 4 ვერსის მანძილზე, მოწამეთაში არის კირის მთელი მთები. ამიტომაც სწორეთ აქ შენდება უზარ-მაზარი ქარხანა, რო-

მელმაც უნდა დასწვას ერთი მილიონი ფუთი კირი წლიურად. ეს ქარხანა ცნობილია ამიერ-კავკასიის ფედერაციის მნიშვნელობის ქარხანად. ამ წარმოებაში მუშა ნავარაუდევია 300-მდე.

**ფლორიდის მიწის** უმისოთ შეუძლებელია ნავთის წარმოება. იგი აუცილებელი საჭიროა ნავთის პროდუქტების დასაწმენდათ. ეს მიწა, როგორც მისი სახელწოდება გვიჩვენებს, კავკასიაში მოქონდათ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სახელდობ ფლორიდიდან. მარტო აზნევთი ამ მიწას ყოველწლიურად ყიდულობს ერთი მილიონი ოქროს მანეთისას. ახლა აღმოჩნდა, რომ ქუთაისის ახლო-მახლო მილიარდი ფუთობით მოიპოება ეს მიწა. ამერიკიდან ჩამოტანილი ფლორიდის მიწა აზნევთს უჯდებოდა ფუთი ხუთი ოქროს მანეთი. ქუთაისის მიწა კი მას დაუჯდება ბაქოში ჩატანით 50 კაპეიკი.

ამიტომ აზნევთი და გროზნევთი ახლავე ფიქრობენ ამ მიწის ექსპლოატაციის მოწყობას...

აი ის, რაც თვალის ერთი გადავლებით ვნახე ქუთაისში და მის მიდამოებში. მართალი მოგახსენოთ, თავი სიზმარში მეგონა, როცა ყველა ზემოთ ჩამოთვლილს ვათვალიერებდი... მართლაც ვინ წარმოიდგენდა ამას, ვინ იფიქრებდა, რომ ოდესმე დაგვიდგებოდა ისეთი დღე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარ ბუნებრივ სიმდიდრეს გამოვიყენებდით.

დღეს დასავლეთი საქართველოს დედა ქალაქის მკვრეთით აღდგენა, მისი განახლება ფაქტია. დღეს მხოლოდ მისი შუაგული გავს ძველს, უძრავს, ერთ წერტილზე გაყინულ ქუთაისს. მის ირგვლივ, მის პერიფერიებში, უდიდესი აღმშენებლობა წარმოებს. ჩვენი „სავარდო და სამაისო“ ქუთაისი თანდათან კარგავს თავის ძველ პატრიარქალურ სახეს და მალე, სულ მალე საქართველოს ლოდზად გადაიქცევა.

**პროლეტარი.**

# „ბრძოლის“ რედაქციას

Pro domo

## IV

ახლა „ბირჟევკის“ შესახებ მოგახსენებთ.

ეს რა ჯანდაბა და დოზანაა: „ბირჟევიკა“? დღევანდელი მკითხველი ვერც კი მიხვდება: საჭმელი იყო იგი თუ სასმელი?

მარტო ამ ერთი სიტყვით: „ბირჟევკა“, ბირჟევკის თანამშრომლობა“, ვერავინ ვერაფერს მიხვდება. ისე კი რაღაც ახალი საშინელება ეგონება ყველას.

„ბრძოლის“ პუბლიცისტებსაც ეს უნდათ. დეე მკითხველი ნუ მიხვდება რაშია საქმე, მხოლოდ მან ის კი იფიქროს, რომ ყარიბს რაღაც საშინელება ჩაუდენიაო და სხვა რაღა უნდათ?

გინებას აქვს თავისი ფსიქოლოგია. რამდენადაც უფრო უსაზრო და სულელურია იგი, მით უფრო აღწევს მიზანს, მით უფრო ხვდება ადამიანის გულს. ერთი მეზობელი მყავდა, როცა ვისმეს შეაგინებდა, გინების სიტყვას უეჭველად ქართულად და რუსულად იტყოდა. მაგალითად, ვისზეც გული მოუვიდოდა, იტყოდა: ბუილა-კამეჩიო!.. რომ ვეტყოდით: „ბიულა“ და „კამეჩი“ ორივე ერთიაო,— გვიპასუხებდა: განა არ ვიცი, ვიცი, მაგრამ ორივეს რომ ერთად ეტყვი მოწინაალმდეგეს, უფრო გულს მოხვდება წყინებაო.

მახსოვს, ჩემს პატარა ბიჭობაში, როცა რუსულის მხოლოდ ათიოდე სიტყვა თუ მექნებოდა გაზეპირებული, ერთი მეზობლის ბიჭი „ვაგინე“: — დურაკ, საბაკ, ჩორტ, ანგელ, ბოლ, ბარონ, გოსპოდინ, მუშჩინა, დევიცა; ოტეც; ბატ, — მივაყარე სხაპა-სხუპით თუ რამე ვიცოდი. ამ ჩემი ამხანაგი ბიჭისთვის ათასჯერ დამიძახია უწინ „დურაკიც“ და „საბაკიც“, მაგრამ არც ერთხელ მას გული არ მოსვლია. ახლა კი თავი მეტის-მეტად შეურაცხყოფილად იგრძნო და მამაჩემთან მიჩივლა, რისთვისაც მან რამდენიმეჯერ მითავაზა ყალიონის ღერი რბილ ადგილებში.

„ბრძოლის“ პუბლიცისტებსაც ჩინებულად ცოდნიათ გინების ასეთი ფსიქოლოგია. ამიტომ არის, რომ ისინი ერთი საზიზღრობებით არ კმაყოფილდებიან და ზედ, ასე ვსთქვათ, გინების „გასახვამბრიცებლად“, რამდენიმე ყოვლად უაზრო სიტყვებსაც უმატებენ. უამისოთ პირდაპირ გაუგებელია: რა საჭირო იყო „ბირჟევკის“ და „ტიფლისკი ლისტოკის“ ხსენება იქ, სადაც გრ. ვედომოსტები“ მოგვახალეს? ამ უკანასკნელთან შედარებით „ბირჟევკა“ და „ტიფლ. ლისტოკი“ ხომ ნამდვილი სამოთხე იყო?

რა გაეწყობა: მკითხველს აღვუთქვი გავაცნო ბრძოლელების ბრალდებები და იძულებული ვარ აღთქმა შევასრულო.

რა არის ეს „ბირჟევკა“?

მკითხველს რაღაც საშინელება არ ეგონოს. ეს ჩვეულებრივი ბურჟუაზიული გაზეთი იყო, რომლის სრული სახელი იყო: „ბირჟევიე ვედომოსტი“. გამოდიოდა პეტერბურგში ცნობილი რუსი მწერალი იასინსკის რედაქტორობით (ლიტერატურული ფსევდონიმი მაქსიმე ბელინსკი). გამომცემელი იყო ვინმე პროპერი. ეს ისეთი წყალ-წყალა ლიბერალური გაზეთი იყო, როგორიც სხვა ამ ტიპის გაზეთები. არც მეტი, არც ნაკლები. ეს გამოცემა მხოლოდ იმით განირჩეოდა სხვებისაგან, რომ სხვები სულს ძლივს იბრუნებდენ, ეს კი ასი ათასობით იბეჭდებოდა.

მე ამ გაზეთის თანამშრომელი არასოდეს არ ვყოფილვარ. მე მასში მოვათავსე მხოლოდ ერთად-ერთი წერილი, რომელიც მოწერილია ყარიბის ფსევდონიმით...

ეს იყო და ეს ჩემი ამ გაზეთში თანამშრომლობა! მერე არ იკითხავთ, რაზე და რატომ დავსწერე ამ გაზეთში?

საქმე ასე იყო. ამ წერილის მასალა მივიღე თფილისიდან, იმავე „კვალის“ რედაქციის წევრებისაგან. მთხოვდენ მესარგებლა მითი და „Сев. Курьер“-ში სტატია მომეთავსებია. უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ დროს, როცა მე, ასე ვსთქვათ „დიდ პრესაში“ ვმუშაობდი, ერთობ ბევრი მასალები მომდიოდა საქართველოდან. ამხანაგები ცდილობდენ დამხმარებოდენ ჩემი მოვალეობის რიგიანად შესრულებაში, რადგანაც ისინი იმ დროს ჩემს მწერლობას დღევანდელი „ბრძოლის“ თვალსაზრისით არ აფასებდენ. თბილისელი ამხანაგები მე მიკარნახებდენ არა მარტო იმას, თუ რაზე მიმექცია ყურადღება და რის შესახებ მეწერა. იმასაც კი მიკარნახებდენ, თუ რაზე არ უნდა აღმეძრა პრესაში ლაპარაკი, რის შესახებ იყო სახიფათო ასეთი წერა და ლაპარაკი. დღეს ჩემს არქივში ინახება ზოგიერთი ამხანაგების იმ დროინდელი წერილები, ასეთი დირექტივებით. აქ საკმაოა დავასახელოთ მხოლოდ ერთად-ერთი წერილი, რომელიც ეკუთვნის „ბრძოლის“ დღევანდელი შეფის ნ. ნ. ჟორდანიას კალამს. ის მე ერთ წერილში, სხვათა შორის, მწერდა: — „სააზნაურო სკოლებზე არაფერი დასწეროთ „С. К.“-ში. ლაპარაკია გოლიცინს დახურვა უნდაო“. (იხ. ნ. ჟორდანიას ჩემდამი მოწერილი ბარათი. 8 დეკემბერი 1899 წ. თბილისი.)

მას შემდეგ თითქმის ოცდაათი წელიწადია და არ შემიძლია მეხსიერებაში აღვადგინო თუ სახელდობ ვინ მომაწოდა დასახელებული წერილისთვის მასალა. მაგრამ ამ წერილის შინაარსი ჩინებულად მახსოვს... იმ დროს საქართველოს ტერიტორიაზე სკოლებში გამეფებული იყო ცნობილი შავრაზმელის სახალხო სკოლების დირექტორი ლევიცკის სახელმძღვანელოები მუნჯური მეთოდით.. ამის წინააღმდეგ იმ დროს ბევრს სწერდენ ქართულ პრესაში; განსაკუთრებით ბევრსა და ნიჭიერადაც სწერდა ჩვენი ცნობილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. მაგრამ ანგარიშს არავინ არ უწევდა. ჩემმა ამხანაგებმა, როგორც

ვსთქვი, ამ საქმის შესასწავლად მასალები მომაწოდეს და „С. К.“-ში მართლაც დავსწერე სტატია, მაგრამ ხელში მისი მხოლოდ კორექტურა შემრჩა. დასახელებული გაზეთის ნომერი უკვე გამოსვლამდე დაიჭირეს და გაზეთი სამუდამოდ აკრძალეს.. ეს იყო მიზეზი, რომ ამ სტატიის კორექტურული ფურცელი გადავეცი იასინსკის და ვსთხოვე წერილის დაბეჭვდა. იასინსკიმ სიამოვნებით დასთანხმდა ლევიცკის მუნჯური მეთოდის წინაალმდეგ ხმის ამაღლებაზე და ჩემი წერილი უცვლელად დასტამბა.

ამით დაიწყო და ამითვე დასრულდა ჩემი თანამშრომლობა „ბირჟევია ვედომოსტში“ ან, როგორც „ბრძოლის“ კალმოსანი ბრძანებს: „ბირჟევკაში“.

,ამ „ბირჟევკის“ კომპლექტიც ხომ ადვილად მოეპოვებათ ბრძოლელებს. წინადადებას ვაძლევ: აილონ და გაეცნან. გაეცნან ამ წერილს. გააცნონ „ბრძოლის“ აუდიტორიას მისი შინაარსი.. დატრაბახებით ნუ ჩამომართმევთ თუ ვიტყვი: ეს სტატია რომ ეკუთვნოდეს არა ყარიბს, არამედ „ბრძოლის“ რომელიმე პუბლიცისტის კალამს, იგი ამას თავის პუბლიცისტური ნამსახურობის აქტივში ჩაიწერდა, თავსაც მოიწონებდა, მით უმეტეს, როცა გაიგებდა, რომ ყარიბის ეს წერილი რუსეთის ათიოდე პროვინციალურ ლიბერალურ გაზეთებში იყო გადაბეჭდილი.

ყოველ შემთხვევაში წინადადებას ვაძლევ „ბრძოლის“ რედაქციას გაეცნოს „ბირჟ. ვედ.“-ის კომპლექტს და დამიმტკიცონ, რომ ოდესმე მე ამ გაზეთში რამე დამეწეროს დასახელებული წერილის გარდა. თუ ისინი გამტყუნდენ, დიდს არაფერსა ვსთხოვ საკონტრიბუციოთ; მხოლოდ მოვითხოვ: „ბირჟ. ვედ.“ დაბეჭდილი ჩემი წერილი გადათარგმნოს და დაბეჭდოს თავის ფურცლებზე. ეს მით უფრო ხელსაყრელია „ბრძოლის“ რედაქციისათვის, რომ ის ამით უფრო გააცნობს თავის მკითხველებს თუ რა დიდი ცოდვა ჩაუდენია ყარიბს ამ წერილის „ბირჟ. ვედ.“-ში დაბეჭვდით.

—:—

ახლა „ვოზროჟდენიე“-სა და „თბილისის ლისტოკში“ თანამშრომლობაზე.

1905 წლის დასაწყისში მთელი რუსეთი საქართველოზე და კერძოთ გურიაზე ლაპარაკობდა. ყველა აღტაცებული იყო გურულების უმაგალითო რევოლიუციონური გამოსვლებით, რომელსაც 1904—1905 წლებში გურიაში ჰქონდა ადგილი. პეტერბურგში ყოველ კრებებზე, მწერლებისა და სხვა ასეთ ყრილობებზე ოვაციებით ხვდებოდენ გურიის სახელს. ოვაციებს უმართავდენ თუ ვინმე გურული სადმე გამოჩნდებოდა.

1905 წლის გაზაფხულზე ელვის სისწრაფით მოედო მთელ რუსეთს, რომ კავკასიის ახალი ნამესტნიკი ვორონცოვ - დაშკოვი კრიმ-გირეის აგზავნის გურიაში ხალხთან მოსალაპარაკებლად. მე დიდი სურვილი მქონდა საქართველოში დავბრუნებულიყავი და ჩემი თვალით მენახა, თუ რა ხდებოდა გურიაში და საერთოთ საქართველოში. იმ დროს „С. К.“-ის რამდენიმე ყოფილი თანამშრომელი ა. ი. არაბაჟინის მეთაურობით „Петербургский Курьер“-ის გამოცემას ეპირებოდენ და როცა ჩემი ასეთი სურვილი გაიგეს, მირჩიენ: წადი საქართველოში, შეისწავლე საქმე და სწერეთ ჩვენს გაზეთშიო.

ამ იმედით ჩამოვედი თბილისში აღმოჩნდა, რომ მე ცოტა დავიგვიანე. კრიმ-გირეის კამპანია უკვე ჩატარებული იყო. მე მოვიარე საქართველოს უფრო რევოლიუციონური ნაწილები და უკან გაბრუნებას ვეპირებოდი. თბილისში ასეთი ამბავი დამხვდა: აქ ქართველი ინტელიგენციის ერთ ჯგუფს გადაეწყვიტა რუსული რადიკალური გაზეთის გამოცემა. ამ საქმისთვის საკმაო ფული გაეღო ცნობილ ქართველ მილიონერს ზუბალაშვილს. გაზეთის რედაქტორად იმ დროს ფედერალისტი პართენ გოთუა მოეწვიათ. არ ვიცი, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდენ გაზეთის გამოცემის ინიციატორები, მაგრამ მათ გადაეწყვიტათ, რომ ეს გაზ. პოლიტიკურად რაღაც მოზაიკური უნდა ყოფილიყო. ამიტომ მათ მიემართათ საქართველოში ყველა არსებულ რევოლიუციონური პარტიებისათვის და ეთხოვათ, მონაწილეობა მიეღოთ გაზეთში იქ მუდმივი წარმომადგენელი - თანამშრომელის სახით. ყველა პარტიებმა მიიღეს ეს წინადადება და რედაქციაში თავი მოიყარეს: მენშევიკების, ს.-ფედერალისტების, ესერების და წარმოიდგინეთ, დაშნაკელების პარტიის წარმომადგენლებმაც კი. სხვათა შორის ამ გაზეთში თანამშრომლობდა გერონტი ქიქოძე, რომელსაც ბოლშევიკების წარმომადგენლად სთვლიდენ. ის კი არ ვიცი: ქიქოძე მართლაც იყო თუ არა ამ გაზეთში პარტიის ბრძანებით.

ს.-დ. პარტიის ლიდერებმა ისარგებლენ ჩემი აქ ყოფნით და ულტიმატუმი დამიყენეს აქ დავრჩენილიყავი და ამ ახალ გაზეთში მემუშავა.ჩემი აქ დატოვების უდიდეს მოტივად ის მოყავდათ, რომ პარტიას არა ყავს ისეთი ამხანაგი, რომელსაც რუსულ ჟურნალ-გაზეთებში წერა ეხერხებოდესო. მეც დავთანხმდი და დავრჩი თბილისში.

ამ გაზეთს „ვოზროჟდენიე“ ერქვა. ის მართლაც ერთობ მკვირცხლი და ნამდვილი მებრძოლი, რევოლიუციონური გაზეთი იყო. ამ გაზეთში ბევრი დაიბეჭდა ჩემი წერილი „ლისტკი“-ს საერთო სათაურით. ამ წერილებს იცნობენ ჩემი მტრებიცა და მეგობრებიც და მე მისი დაცვა არ დამჭირდება. პირიქით, ვწუხვარ, რომ შეძლება არა მაქვს, რომ „ვოზროჟდენიე“-ში დაბეჭდილი ჩემი წერილები ცალკე წიგნაკად გამოვსცე. რომ „ბრძოლის“ დღევანდელი ხელმძღვანელების აზრს რაიმედ ვაფასებდე, სრული უფლება მაქვს ვთქვა, რომ ისინი ერთობ დიდი აზრის იყვენ უწინ ამ წერილების შესახებ და მის ავტორზე.

ისინი ასეთივე აზრის ბრძანდებოდენ იმ წერილების შესახებაც, რომელსაც მე გზა და გზა, საჭირო დროზე ვათავსებდი „ტიფლისკი ლისტოკში“. მაგრამ აქ საჭიროა ცოტა დაწვრილებით ვილაპარაკოთ.

აქ თავისთავად იბადება ძველი კითხვა: ქონდა თუ არა უფლება სოციალისტური პარტიის წევრს ეთანამშრომლა ბურჟუაზიულ გაზეთში?

ეს საკითხი თავის დროზე ერთობ მწვავეთ იდგა ს.-დ. პარტიის ორივე ფრაქციაში. ბოლშევიკები ამ საკითხს უარყოფით სწყვეტდენ. მენშევიკებიც უარყოფდენ ასეთ თანამშრომლობას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში და ზოგიერთებს დასაშვებათ მიაჩნდათ. საკმაოა მოვიგონოთ, რომ თვითონ გ. ვ. პლეხანოვი სწერდა არა მარტო ბურჟუაზიულ „კიევსკაია მისლში“, არამედ ხანდახან სწერდა თვით კადეტების „რეჩ“-ში და სხვა მისთანა ორგანოებში.

საქართველოში ამ საკითხს ისეთი მწვავე ხასიათი არ მიუღია და ვერც მიიღებდა. მართალია, ამის შესახებ ჩვენშიც დაიწყებდენ ხანდისხან ლაპარაკს, მაგრამ ეს უფრო რუსი ამხანაგების მიბაძვით...

ყოველ შემთხვევაში საყურადღებოა ,რომ ამ საკითხს აყენებენ „ბრძოლის“ ხელმძღვანელები, რომლებმაც დიდი ხანია უარყვეს ყოველგვარი „პარტიულობა“ და ქართველი ნაციონალისტების და ბურჟუაზიის ყველაზე უფრო ხულიგნურ ნაწილთან, თეთრ გიორგელებთან ერთ გაზეთში თანამშრომლობასაც არ თაკილობენ. მათთან ერთად ადგენენ პარიტეტულ ბიუროს და საერთო ხელმძღვანელობით სცემენ: **„საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანოს“ „დამოუკიდებელ საქართველოს“.**

რა არის ეს? ყოვლად საზიზღარი და უსინიდისო დემაგოგია, თუ ყოვლად უვიცი ბარბაროსობა:თუ ერთიცა და მეორეც. ამის შემდეგ რა პატიოსნება უნდა მოვსთხოვო ასეთ ადამიანებს?.. მე რომ მარტო ისინი მყვანდენ სახეში, ჭალარა თავის დამდაბლებად მივიჩნევდი მათთან ამ საგანზე ლაპარაკს... მაგრამ, რა კი ეს საკითხი წამოიჭრა, იძულებული ვარ ერთხელ და სამუდამოდ ამოვწურო იგი...

ყველაფერი დროსა, გარემოებისა და სივრცის მიხედვით უნდა გავსინჯოთ. ასევე უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაშიც. ჩემის ღრმა რწმენით, სოციალისტის ბურჟუაზიულ გაზეთში თანამშრომლობის საკითხი სულ სხვა იყო რუსი ამხანაგებისთვის და სხვა იყო ჩვენთვის, ქართველებისათვის. ჩვენი რუსი ამხანაგები გაცილებით უფრო კარგ პირობებში იყვენ ამ მხრით. იმათ ბრძოლა უხდებოდათ მხოლოდ წმინდა პარტიულ ნიადაგზე. ამიტომაც მათთვის ადვილი საქმე იყო ყოველთვის პარტიულ ნიადაგზე დგომა.

ჩვენ კი სულ სხვა პირობებში გვიხდებოდა მუშაობა.

ჩვენ პარტიულს გარდა გვქონდა წმინდა ნაციონალური ინტერესებიც, რომელსაც გზას ვერ ავუხვევდით.

თვითმპყრობელობამ შავი სუდარა გადააფარა მთელ საქართველოს. გვახსოვს ისეთი დრო, როცა სიტყვა „საქართველო“ სრულიად აკრძალული იყო და მის მაგიერად მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის გუბერნია უნდა გეხმარათ წერისა და ოფიციალური ლაპარაკის დროს. თვითმპყრობელობამ მის საკუთარ ოჯახში „ინოროდცებათ“ გამოაცხადა ქართველი ხალხი. გარყვნა და მოსპობის კარებამდე მიიყვანა ქართული ენა, სკოლა, ხალხის მთელი კულტურა. სკოლებიდან განდევნა ხალხის ენა და ბალღებს რაღაც მუნჯური მეთოდით, მშობლიური ენის დაუხმარებლად, სწავლება შემოუღეს.

ასეთ მოვლენის წინააღმდეგ ჩვენ, სოციალისტებს, რუსულ გაზეთებში ძალა-უნებურად უნდა გვეწერა. აბა დამისახელეთ რომელიმე რუსი მწერალი, რომელსაც მუნჯური მეთოდის წინააღმდეგ სტატიების წერა დაჭირვებოდეს. ეს, რა თქმა უნდა, რუსი ამხანაგებისთვის საჭირო არ იყო, რადგანაც მის ენას და კულტურას თვითმპყრობელობა მოსპობას არ ექადებოდა. ჩვენ იძულებული გავხდით ამის წინააღმდეგ ხმა აგვემაღლებია და პირადად მე მადლობელიც ვიყავი იასინსკის, რომელმაც ჩემი წერილი თავის ბურჟუაზიულ გაზეთში დამიბეჭდა.

შეიძლება მიბრძანოთ: რატომ მაინცა და მაინც რუსულად წერდით, ქართული გაზეთები ხომ გქონდათო? გვქონდა, ვწერდით, განა არა ვწერდით? მარტო ისეთი ავტორიტეტის წერილები, როგორიც იაკობ გოგებაშვილი იყო, რათა ღირდა? მაგრამ ქართულად წერას ანგარიშს არავინ არ უწევდა. მაშინ კი, როცა ვილაც ყარიბმა ამ საგანზე რუსულ გაზეთში და ისიც პეტერბურგის „დიდ პრესაში“ დასწერა, რუსეთის სხვადასხვა დიდ ქალაქებში ათიოდე ლიბერალური გაზეთი მაინც გამოეხმაურა მას, ადგილობრივი მთავრობა ხომ სრულიად არაფერს ანგარიშს არ უწევდა ქართულ პრესას.

მოვიყვან ამის აშკარა მაგალითებს.

პირველი გიმნაზიის რომელიღაც ჩინმა ამავე გიმნაზიის ორი თუ სამი მოწაფე, მეშვიდისა და მეექვსე კლასის შეგირდები, ქუჩაში პაპიროსის მოწევაზე წაისწრო. ახალგაზრდებმა ამ ჩინის მოთხოვნით პაპიროსები არ გადააგდეს და ბოდიში არ მოიხადენ. ამიტომ ისინი გიმნაზიიდან გამორიცხეს. ამის შესახებ, როგორც მახსოვს, რაღაცა კიდეც დაიწერა ჩვენს გაზეთში. მაგრამ ყურადღება არავინ არ მიაქცია. იმავე საგანზე რუსულ გაზეთში, იმვე „ტიფლ. ლისტოკში“ გაგზავნილმა ჩემმა წერილმა დაუბეჭდავადაც დიდი ეფექტი მოახდინა და გამოგდებული მოწაფეები ხელ-ახლა აღადგინა. თურმე რედაქციას ვერ გაებედა წერილის გაშვება და მისი კორექტურა თვითონ კავკასიის მზრუნველისთვის გაეგზავნა. რა დიდი უნდა ყოფილიყო ჩემი განცვიფრება, როცა იმავე ღამეს რუდოლფი მესტუმრა სადღაც ქალაქ გარეთ ჩემს ბინაზე და მთხოვა: წერილი უკან წაიღეთ და პატიოსან სიტყვას გაძლევ, ის გამოყრილი მოწაფეები ხვალვე აღდგენილი იქნებიანო...

რუდოლფმა მეორე დილასვე შეასრულა თავისი დაპირება, მე კი, უნდა გამოვტყდე, პირობა ბოლომდე ვერ შევასრულე: წერილი უკან წავიღე, რადგანაც სულ ერთი იყო ამის შემდეგ რედაქცია არ დამიბეჭდავდა, მაგრამ წერილი ერთი თვის შემდეგ დავბეჭდე ბათომის რუსულ გაზეთ „ბატუმსკაია იზვესტიაში“. (იხ. „Дневник журналиста“. ყარიბის სტატია: „Равви, исправь самого себя!“ დასახელებული გაზეთი, № 33, 1910 წელი).

ამ სტრიქონების ავტორს, როგორც ჟურნალისტს, უამრავი წერილები მომდიოდა ხოლმე სხვადასხვა პირებისა და საზოგადოებრივი ჯგუფებისაგან: ამა და ამ საჭირბოროტო საქმის შესახებ რუსულ გაზეთში ხმა ამოიღეო. იყო ისეთი საკითხები, რომლის გადაწყვეტაში ქართველი საზოგადოებრივი აზროვნების დამუშავება საკმაო არ იყო. საჭირო იყო ადგილობრივ უმაღლეს ადმინისტრაციის პირებზე გავლენის მოხდენა. ამისათვის კი საჭირო იყო რუსული პრესა.

ამიტომ იყო, რომ ჩვენ თვითონ არა ერთხელ გვიცდია საკუთარი რუსული პრესის შექმნა. დავიწყეთ კიდეც მთელი რიგი გაზეთების გამოცემა სხვადასხვა დროს. დავასახელებთ აქ მხოლოდ ნაწილს: 1. „ვოლნა“, 2. „პონედელნიკი“, 3. „ნაში პონედელნიკი“, 4. „მოლოტ“, 5. „ტრიბუნა“, 6. „ჟიზნ“, 7. „ნაშა ჟიზნ“, 8. ნაშ კრაი“ და მრავალი სხვა. მაგრამ ყველა ეს გაზეთები ერთიდან ათ ნომერს არ გასცილებია. მხოლოდ „ნაშ კრაი“ რის ვაი-ვაგლახით ვაარსებეთ სამი თუ ოთხი თვე (ეს ყოველ დღიური გაზეთი იყო.)...

ყველა ეს გაზეთები ს.-დ. პარტიის ორგანოები იყო. მხოლოდ „ნაშ კრაი“ გამოდიოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნება-დაურთველად. ამ გაზეთს ცოტა პარტიის წინააღმდეგი განზრახც დაეტყო. შეიძლება იმიტომ, რომ მასში კომუნისტებიც იღებდენ მონაწილეობას, სხვათა შორის ამხ. შ. ელიავაც.

რა უნდა გვექნა ასეთ პირობებში? გულზე ხელი დაგვეკრიფა და გვეცადა, როდის დაეცემოდა თვითმპყრობელობა და მოისპობოდა მისი ცენზურა? რა თქმა უნდა, საჭირო დროზე ჩვენ ძალა-უნებურად უნდა მიგვემართა ბურჟუაზიულ ორგანოსთვის და დიდი მადლობაც უნდა გვეთქვა თუ ჩვენს წერილებს დაბეჭდავდა.

ამ საქმისადმი დღევანდელი თვალსაზრისით მიდგომა მიუღებელია. დღეს შეიძლება რუსული გაზეთის უმისოდაც იოლად წავიდეს ჩვენი საზოგადოება (თუმცა მე ეს არა მჯერა). ხალხს, რომელსაც თავისი საკუთარი სახელმწიფო აქვს, თავისი საკუთარი ხელისუფლება აქვს, თავის საკუთარ ენაზე შეუძლია თავისი გაჭირვებისა და დალხინების გამოთქმა, მას ამ ენაზე უნდა გაუგონონ, ანგარიში უნდა გაუწიონ, უნდა დააკმაყოფილონ.

სულ სხვა იყო იმ დროს, როცა ჩვენ დიდი ვებერთელა რუსეთის მხოლოდ მიკროსკოპიული ნაწილი ვიყავით, როცა „ინოროდცებათ“ ვიყავით გამოცხადებული. იმ დროს, როცა ჩვენში ყოველიფერი თვითმპყრობელობის ჩექმის ქუსლებით ითელებოდა, მაშინ რუსული პრესა უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც ბრძოლის უდიდესი იარაღი და ამ მხრით, თუ მე დამიჯერებთ, ნიკო ნიკოლაძეს, როგორც რუსულ ჟურნალ-გაზეთებში მომუშავე პუბლიცისტს იმდენი ღვაწლი მიუძღვის ქართველი საზოგადოებრივი აზროვნების წინაშე, რამდენიც ილია ჭავჭავაძეს და, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი, ვიდრე სერგო მესხსა და გიორგი წერეთელს.

ყარიბი.

# ორი სამკუთხედი და ჩინეთი

8.

ბუნებრივათ ისმება საკითხი თუ რა იყო მთავარა მიზეზი იმ მოვლენის, რომ ინგლისის და შეერთებულ. შტატების იმპერიალიზმი „მშვიდობიანი“ გზით, მაგრამ სინამდვილეში ფაფარ აყრილი, იაპონიას პაციფიკიდან შიერეკებოდენ?

შეერთებული შტატების პოლიტიკა ხასიათდებოდა გარეგნულათ პაციფისტური მიდრეკილებით, მაგრამ რეალურათ ის უაღრესად აგრესიული იყო და არის. კონფლიქტის უკიდურესობამდე მიყვანა არც ერთი მხარის ინტერესს არ შეადგენდა, ვინაიდან მრავალი ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები არსებობდა აშკარა ომის საწინააღმდეგოთ. ესეც არ იყოს იანკეეს იმპერიალიზმს უმთავრესად ახასიათებს არა მეომარი სულისკვეთება, არამედ ბურჟუაზიულ პაციფისტური მიდრეკილება, რომლის ნიშანდობლივ თვისებას შეადგენს სამეურნეო პოლიტის ისე წარმოება, რომ მოწინააღმდეგე მხარე ხელში ჩაიგდოს, რათა შემდეგ აღებული სადავით თავისთვის სასარგებლო და მისაღები მიმართულება მისცეს. ეს ეგრედწოდებული ოქროთი სიძლიერეზედ აგებული პაციფიზმია. უმეტეს შემთხვევაში ამით აიხსნება ის გარემოებაც რომ იაპონიის მი-

ლიტარიზმი იძულებული იყო თავის კალაპოტში ჩამდგარიყო.

იაპონიისათვის მრავალ წლების განმავლობაში შეერთებული შტატების დასავლეთი სახელმწიფოები: ვაშინგტონი, კალიფორნია, ორეგონი და ნევადა საუკეთესო საემიგრაციო მხარეს წარმოადგენდა. გასული საუკუნის 90 წლებიდან იაპონელები განსაკუთრებულათ ხელსაყრელ პირობებში იყვნენ ჩაყენებული. ამრიგათ უმთავრესად დასავლეთ შტატებში 100 ათასმა იაპონელმა მოიყარა თავი. შეიქნა ძლიერი კოლონიები და ფერმები, რომლებმაც მალე თეთრკანიან მოსახლეობას (ფერმერებს) მეტოქეობა დაუწყეს. რა ჟამს ეკონომიურმა უთანხმოებამ თავი იჩინა, ჩაიყარა საფუძველი მთელი რიგი პოლიტიკური კონფლიქტებისათვისაც. 1913 წელში კალიფორნიის შტატში მიღებულ იქნა კანონი, რომლის ძალით მიწისა და უძრავი ქონების შეძენა შეეძლოთ მხოლოდ იმას, ვისაც შეერთებული შტატების მოქალაქეობა მიღებული ქონდა. ამას მოყვა 1922 წლის ნოემბერში შ. შტატების უზენაესი სასამართლოს დადგენილება, რომლის მიხედვით ყვითელ კანიანებს შ. შტატების მოქალაქეობის მიღება ეკრძალებოდათ. ამით კონფლიქტი უკვე უმწვერვალეს წერტილამდე ავიდა. მთელი ეს კანონები და დადგენილებები, რომლებიც ყვითელ კანიანებს ნეგრებზე (შავ კანიანზე) დაბლა აყენებდა. მხოლოდ და მხოლოდ იაპონელების წინაალმდეგ იყო მიმართული. უზენაესი სასამართლოს დადგენილების პრაქტიკული შედეგი იყო ის, რომ 30.000 იაპონელი ფერმერი იძულებული იყო თავისი კარ-მიდამო დაეტოვებია. იაპონიის მთავრობის პროტესტი უშედეგოთ დარჩა. პირიქით, ამას შემდეგ, მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. მიღებულ იქნა ე. წ. ლორდ-ჯონსონის ბილი, რომელმაც წინანდელი უპირატესობა მოსპო და 1924 წლის 1 ივლისიდან იაპონელებს შეერთებულ შტატებში გადმოსახლება აუკრძალა.

ამრიგად საგარეო ფრონტზე ვაშინგტონის კონფერენციით იაპონია სასტიკათ დამარცხდა. შეერთებული შტატების ზემოთ აღნიშნული პოლიტიკით მისი მეზობელი აღმოსავლეთიდან სასტიკ მტრათ გაუხდა. მეორე მხრივ ინგლისის იმპერიალიზმი ყალყზე იდგა და სინგაპურის დიდ სამხედრო ბაზათ გადაკეთებას ლამობდა და ჩინეთიდან იაპონიის სრულებით გარეკას ცდილობდა. ასეთ პირობებში იაპონია ბუნებრივათ მიიწეოდა ახალი მოკავშირის საძიებლათ. მალე ასეთი აღმოჩნდა საბჭოთა რუსეთის სახით. რასაკვირველია, შ. შტატებმა იაპონიის ასეთ მისწრაფებას ალღო აუღო და კულიჯმა, რომელმაც იაპონელების საწინააღმდეგო კანონს ხელი მოაწერა იმიტომ, რომ ახალი არჩევნები მოახლოვებული იყო და ამით კალიფორნიის ფერმერების ხმების ჩაჯიბვა უნდოდა,—1925 წლის დასაწყისში განაცხადა რომ სტატსეკრეტარი იუზი გადადგება და მის ადგილს ლონდონში მყოფი ელჩი კელოგი დაიჭერსო. ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ საბჭოთა რუსეთისადმი შედარებით კეთილათ განწყობილ ჯგუფს სენატორ ბორას ხელმძღვანელობით დიდი გავლენა უნდა მოეპოებია. ეს ცნობა იაპონიისათვის უკვე გადამწყვეტი იმპულსი იყო, საბჭოთა კავშირთან მეგობრული განწყობილების შესაქმნელად.

შედეგი ამ გამწვავებული მდგომარეობისა იყო 1925 წლის 20 იანვარს იაპონიასა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება.

ყოველ მიზეზს გარეშე 20 იანვრის ხელშეკრულება წარმოადგენს აღმოსავლეთში ფორმალურათ ახალი პერიოდის დასაწყისს, რომელიც სრულებით ახალ პირობებს ქმნის და წინასწარ გაუთვალისწინებელ პერსპექტივებს შლის განსაკუთრებით ყვითელი რასის ისტორიაში.

ჩვენ წინა წერილებში აღვნიშნეთ, თუ იაპონია როგორ თანდათანობით მოიწეოდა ციმბირის აღმოსავლეთ ნაწილებისაკენ. აღვნიშნეთ ისიც, რომ მალე ის იძულებული იყო ციმბირი დაეტოვებია. აქ რასაკვირველია იძულება საბჭოთა კავშირისაგან გამომდინარეობდა. იაპონიამ უკან დაიხია და ამ უკან დახევის აქტი იყო 20 იანვრის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით კუნძულ სახალინის ჩრდილოეთი ნაწილიც განთავისუფლებული იქნა და საბჭოთა კავშირს გადაეცა. იაპონიამ სამაგიეროთ სახალინზე ნავთის კონცესიები მიიღო. ომის ნადავლიდან იაპონიას შერჩა 1915 წლის ჩინეთისადმი ე. წ. 21 მუხლიანი ულტიმატუმის ნაშთი ლიანტუნგის რაიონის (სამხრეთი მანჯურია) 99 წლის „იჯარა", რაც რა თქმა უნდა ისეთივე ნადავლია, როგორც სხვა ბევრი, რომელიც იაპონიამ შეიძინა და ისევ მეპატრონეს ჩააბარა. აქ ის მთელი სიგრძე სიგანით იჭრება ჩინეთის საქმეებში და რამდენათ ჩინეთის რევოლიუციის პერსპექტივები ნაციონალური განთავისუფლების სხივებს აფრქვევს, იმდენათ ლიაუნტუნგის რაიონის, ანუ როგორც ჩინელები უწოდებენ მანჯურიის ელზას ლორენის, განთავისუფლებაც შორეული მომავლის საქმეს უკვე აღარ შეადგენს.

საბჭოთა კავშირის წყნარი ოკეანეს ნაპირებზე გამოჩენის დატა აღინიშნება 1922 წლის 26 ოქტომბერით, როდესაც იაპონელებმა აღმოსავლეთი ციმბირის მიდამოები დასცალეს. საბჭოთა რუსეთის პაციფიკზე გამოჩენამ ბუნებრივათ ძალთა გადაჯგუფება მოახდინა. თუ ამდენ ხანს დასავლეთის და ამერიკის იმპერიალიზმი ნადავლზე დაობდა და მესამე ძალას ასუსტებდა იმ მიზნით, რომ თავისი ათეული წლების მძარცველობის პოლიტიკისათვის მჭიდრო საფუძველი მოეპოვებია, საბჭოთა კავშირის დროშაზე სრულებით საწინააღმდეგო ლოზუნგი ეწერა: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით". ეს პაროლი პაციფიკზე ნიშნავდა გაერთიანებას საერთაშორისო მძარცვავ იმპერიალიზმის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა წითელი დროშით აღმართული მახვილი იაპონიისაკენაც იყო მიმართული და რამდენათ იმის პოლიტიკა დანარჩენ იმპერიალისტურ ქვეყნების კონცერტის პოლიტიკისაგან არაფრით არ განსხვავდებოდა, იმდენათ ეს ახალი ძალა საბოლოოთ იაპონიისათვისაც მესაფლავე უნდა ყოფილიყო. მაგრამ აწმყოს პირობებმა იაპონია დაჩაგრულთა რიგში ჩააყენა და ამით ის საბჭოთა კავშირის მეგობრათ გახადა, რამაც უცებ იაპონიის პოზიციები გაამაგრა. იპონიამ უკან დახევის ტაქტიკა დასტოვა და შეტევაზე გადავიდ; 1925 წლის მარტში იაპონიის პარლამენტმა შეერთებული შტატების პოლიტიკის ახალი კანონით უპასუხა, რომლის მიხედვით მიწის და უძრავი ქონების შეძენის უფლება ეძლევა ყველა იმ სახელმწიფოების მოქალაქეთ, რომელთა სახელმწიფოების კანონმდებლობა იაპონელების წინაალმდეგ განსაკუთრებულ პირობებს არ ქმნის. ეს აშკარათ შეერთებული შტატების წინაალმდეგ იყო მიმართული, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, არც ერთი მხარე აშკარა კონფლიქტს ვერ ბედავდა. იაპონია კარგა ხანია ამერიკისადმი ფინანსიურ დამოკიდებულებაში იმყოფება. იანკეეს კაპიტალი, მიუხედავათ გამწვავებულ პოლიტიკურ მდგომარეობისა, სხვადასხვა სესხების სახით შემოდიოდა იაპონიაში. ამას გარდა ამერიკისთვის იაპონიის აბრეშუმი აუცილებელ სავაჭრო ობიექტს წარმოადგენს, ისე როგორც იაპონიისათვის ამერიკის ოქრო.

საბჭოთა რუსეთის პაციფიკის ასპარეზზე გამოჩენით იაპონიის საერთო მნიშვნელობა წყნარი ოკეანეს პრობლემისათვის შემცირდა. ნაცვლათ პირველ პოლიტიკურ სამკუთხედისა გამოიყვანა მეორე, ორ სხვადასხვა პოლიუსზე მდებარე ძალების: ძველი იმპერიალიზმის და ახალი სოციალიზმის—კომუნიზმის,—სამკუთხედი, რომლის მთავარ შემადგენელ ელემენტებს შეადგენს: ინგლისი, ამერიკა და საბჭოთა რუსეთი. ახალი ძალთა ქიდილის ცენტრს შეადგენს ჩინეთი, და ვინაიდან ჩინეთის პრობლემის გადაწყვეტა (როგორც არ უნდა იყოს ის) პაციფიკის საკითხისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება, ახალი ძალთა განწყობილების ანალიზიც საინტერესოა, მაგრამ ამაზე სხვა დროისათვის.

**ი. ნარხია.**

# ყოფილ ახ. მარქსისტთა განყოფილება

## ცრუმარქსისტები

ისეთი დიდი მოვლენა, როგორიც იყო ოქტომბრის რევოლიუცია, რომელმაც შექმნა ახალი, სოციალისტური სამყაროს მშენებლობის შესაძლებლობის პირობები და ამ მიმართულებით კაცობრიობისათვის ჯერ არნახული მიღწევები აქვს, საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მიერ ვერ იქნა სწორად გაგებული და შეფასებული.

საქართველოს სოციალ-დემოკრატია დღეს ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის გზას ადგია. მან ვერ შეითვისა ის უბრალო დებულება, რომ „მთელ მსოფლიოში სოციალიზმის დამყარებას ესაჭიროება ნაკვეთი მიწა, რომელზედაც ის იდგომება, ისე როგორც ყოველ მებრძოლს ესაჭიროება დასაყრდენი ნიადაგი, საიდანაც ის ბრძოლას აწარმოებს“. (ლენინი). ეს ფაქტორი, რომელიც სარჩულად ედვა ოქტომბრის რევოლიუციას, არ იყო გაგებული მენშევიკების მიერ, ის ასცდა და დღეს კონტრ-რევოლიუციის ლაგერიდან აწარმოებს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. დამარცხებული ქართველი მენშევიზმი, რეაქციის საშუალებით ფიქრობს, რესტავრაციის მოხდენას, დაკარგული მდგომარეობის აღდგენას.

დღეს, როდესაც საქართველოს მუშათა კლასი, რუსეთის პროლეტარიატთან ერთად, საერთო ფრონტით, ბრძოლას აწარმოებს ბურჟუაზიული ქვეყნების შემოტევისაგან თავდასაცავად, და შიგნით ეწევა სოციალისტურ მშენებლობას, ქართული მენშევიზმი შოვინიზმს აღვივებს საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ, რომ ამით ნაციონალური შუღლი და მტრობა შექმნას ორ მოძმე ერთა შორის, თავის მიზნის უფრო ადვილად მისაღწევად. მენშევიკური პარტიის ასეთი ყალბი ეროვნული ლოზუნგი, ახალგაზრდობის ერთ ნაწილზე, რომლებიც პოლიტიკურად საკმარისად არ არიან მომზადებული. კიდევ ახდენს გავლენას. კულტურულად და პოლიტიკურად ჩამორჩენილ ახალგაზრდობას აქცევს თავის გავლენის ქვეშ და ბრმა იარაღათ იყენებს თავის პროვოკაციული მუშაობისათვის.

საინტერესოა აქ მოვიყვანოთ სხვათა შორის, მენშევიკურ აგიტაციის ნიმუშები. რადგანაც თანამედროვე საქართველოში არ შეუძლიათ მათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ლოზუნგების მონახვა და მოძრაობის გამართლება, იძულებული არიან ფეოდალური საქართველოს ისტორიას მიმართონ ახალგაზრდობის რომანტიული თავგანწირვის ეპიზოდების შთაბეჭდილების ქვეშ დასაყენებლად.

რად სჭირდებათ მათ „გმირული“ ბრძოლების გახსენება? ამით მათ უნდათ ახალგაზრდობაში გააღვივონ „პატრიოტული“ გრძნობები, მაგრამ ეს ფაქტები არა თუ არ ეხმარებათ, არამედ, პირიქით, მათ წინააღმდეგ ლაპარაკობს. რატომ? იმიტომ, რომ თუ ქართველი ხალხი არ სჩვევია, მონობას და ის უთანასწორო ძალებით ყოველთვის ებრძოდა მტრებს, დღეს რათ არ იმეორებს ქართველი ხალხი ამას რუსეთის წინააღმდეგ, თუ—კი ისინი მენშევიკების სიტყვით რომ ვსთქვათ „ოკუპანტები“ არიან?

დღეს საქართველოს მშრომელ მოსახლეობას არაფერი არა აქვს სადავო რუსეთთან. პირიქით, რუსეთის პროლეტარიატთან მჭიდრო კავშირი უზრუნველყოფს მის კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებას. ეს გარდაუვალი უკვე ფაქტია. მუშურ-გლეხურ ხელისუფლების პირობებში ქართველი მშრომელი მოსახლეობის ინიციატივა გაიზარდა. ცხოვრების კულტურულ და ეკონომიურ აღორძინების დარგში თვალსაჩინო მიღწევებს აქვს ადგილი და სხვა.

ყოველივე ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს იმ ახალგაზრდობამ, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ დაუღწევიათ თავი მენშევიზმის გავლენისაგან. არ უნდა დაივიწყონ, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატია, პოლიტიკურად სრულიად გაშიშვლდა. მისი „რევოლუციონური“ ბუნება იმდენად გაიხრწნა, რომ ის დღეს ბურჟუაზიის რიგებში სდგას და მისი პოზიციების მედროშეთ გამოდის. საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ, როგორც პოლიტიკურმა პარტიამ, ასცდა მუშათა კლასის კლასიური ბრძოლის პრინციპებს. დღეს, შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის ხარჯზე გაიზარდა ბურჟუაზია და გასაკვირიც არ არის, თუ ქართველი სოციალ-დემოკრატიაც ევროპის ცრუ-მარქსისტებთან ერთად ბურჟუაზიის კლასიურ ინტერესების დამცველათ გამოდის.

ნ. ჯულელი.

## ყოფ. ახ. მარქსისტთა განცხადება

ვანის რაიონის ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტები ამით ვაცხადებთ, რომ საქ. სოც.-დემ. პარტია დიდი ხანია რაც ასცდა სოციალისტურ იდეოლოგიას, ხოლო საქართვ. გასაბჭოების შემდეგ, ორგანიზაციულად დაუკავშირდა რეაქციონურ ძალებს. მთელი მისი მუშაობა, წარმოებული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, არის მიმართული ქართველი ერის და მუშათა კლასის საზარალოდ.

საბჭოთა ხელისუფლებამ კომუნისტური პარტიის მიერ შვიდი წლის მანძილზე წარმოებული მუშაობით სავსებით დაგვარწმუნა, რომ მხოლოდ მათი ხელმძღვანელობით არის შესაძლებელი რევოლიუციის მონაპოვართა დაცვა და სოციალიზმის გამარჯვება.

ამჟამად, როდესაც მთელი მსოფლიო ორ ბანაკად არის გაყოფილი, როდესაც გადამწყვეტი ბრძოლა სწარმოებს მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის, მოვალეთ ვთვლით ჩვენს თავს, რომ აქტიურად დავდგეთ კომპარტიის დროშის ქვეშ და მისი ხელმძღვანელობით განვაგრძოთ ბრძოლა და მუშაობა მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

**ნანაძე ვასილ ვლადიმერისძე, ბიბილეიშვილი გალაქტ. იოსებისძე, მამფორია დავით იუსტინესძე, სანიკიძე პლატონ იასონისძე, ჩხიროძე ვლასა პავლესძე, კობალეიშვილი ბაგრატ ანდრიასძე, შალამბერიძე შალვა გეტონისძე, კორძაძე ნოე ივანისძე, გეგუჩაძე გრიგოლ ექვთიმესძე, ვაშაყმაძე ონისიმე იროდისძე, ჟვანია ქეთევან სილ—ას., სანიკიძე მინაგო ისიდორისძე, ხალარაძე ანდრია, მაღლაკელიძე ვლადიმერ, მსხილაძე გრიგოლ ოქროპ. ოჩხიკიძე სამსონ მიხეილისძე, კორძაძე ვანიჩკა პარმენისძე,. ბურკაძე ნინა პროფილეს ას., მიქელაძე ვლადიმერ., მაღლაკელიძე აკაკი, ჟვანია ამბროსი, დიასამიძე იუსტინე., ლასხიშვილი ნოე, ნაფეჯვარიძე იაკინთე, გოგოლაძე ილია., ძაგნიძე მარიამ ვარლ. ას., ჩოგინიძე ფარნა მალაქიასძე.**

სარედაქციო კოლეგია.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქუჩა № 68.